

# სამაგალითო არჩევნები ?



ადამიანის უფლებათა ცენტრი



2010 წელი

„ადამიანის უფლებათა ცენტრი“, არის უფლებადამცველი არასამთავრობო ორგანიზაცია.

„ადამიანის უფლებათა ცენტრის“ მიზანია, ადამიანის უფლებათა და ფუნდამენტურ თავისუფლებათა მიმართ პატივისცემის გაზრდა და ასევე ქვეყნის დემოკრატიული განვითარების ხელშეწყობა.

ადამიანის უფლებათა ცენტრი ახორციელებს პროექტებს, რომელთა მიზანია ადამიანის უფლებათა კანონებთან და სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა.

ჩვენ ვთანამშრომლობთ საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, რომლებიც იზიარებენ აღნიშნულ მსოფლმხედველობას, რომ ადამიანის უფლებათა პატივისცემა წარმოადგენს დემოკრატიის განმტკიცებისა და მშვიდობის წინაპირობას საქართველოში.

ადამიანის უფლებათა ცენტრი ფინანსური დახმარებისათვის, ასევე მადლობას უხდის ნორვეგიის ჰელსინკის კომიტეტს.



## ადამიანის უფლებათა ცენტრი

მის: თბილისი, ყაზბეგის 3ა, II სადარბაზო, 4 სართული, ბინა 22

საფოსტო ინდექსი: 0160

ტელ: (+995 32) 37 69 50, (+995 32) 45 45 33;

ფაქსი: (+995 32) 38 46 50

ელ-ფოსტა: [hridc@hridc.org](mailto:hridc@hridc.org)

ვებ-საიტი: [www.hridc.org](http://www.hridc.org)

ვებ-პორტალი: [www.humanrights.ge](http://www.humanrights.ge)

ავტორების მიერ დოკუმენტში გამოთქმული მოსაზრება შესაძლოა არ გამოხატავდეს ფონდ "დია საზოგადოება-საქართველოს" პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

**ავტორები:** ნინო აბაიშვილი, ნინო ჯინჭარაძე

**თარგმანი:** ნინო ცაგარეიშვილი, ნინო ტლაშაძე, ნინო ჯინჭარაძე

**მასალები მოგვაწოდეს:** გელა მთივლიშვილმა, საბა წიწიკაშვილმა, მაკა მალაყმაძემ,

შორენა კაკაბაძემ, მარიკა ვაჭარაძემ, შორენა ღლონტმა,

მარი ოთარაშვილმა, თამთა კაკაურიძემ, მანონი ბოკუჩავამ,

დავით ფაცაციაძე

**ინგლისური ტექსტის რედაქტორი:** ჯორდან ჰარის ევანსი

**ფოტო:** გელა მთივლიშვილი

## არჩევნები სამაგალითოდ უნდა ჩატარდეს

საქართველოს პრეზიდენტმა 21 მაისს განაცხადა, რომ მომავალი ადგილობრივი არჩევნები „სამაგალითო“ უნდა იყოს, რადგანაც მას უზარმაზარი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის უსაფრთხოებისათვის.

„მე ვფიქრობ ჩვენ, როგორც კარგად ორგანიზებულ და წამყვან პოლიტიკურ ძალას საქართველოში, გვაქვს ორმაგი პასუხისმგებლობა“.

„...ეს არჩევნები ჩატარდეს სამაგალითოდ. ვერავინ ვერაფერზე ვერ დაგვდოს საფუძვლიანი ბრალი ან ვერ მოგვდოს შარი. იმიტომ, რომ ამას აქვს როგორც შიდა პოლიტიკური, ასევე საგარეო პოლიტიკური, ჩვენი უსაფრთხოების თვალსაზრისით, დიდი მნიშვნელობა,“.

*სივილ ჯორჯია, თბილისი*

*21 მაისი. 10/20:24*

2010 წლის 30 მაისის ადგილობრივი თვითმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს, საქართველოს დედაქალაქის – ქ. თბილისის მერიისა და საქართველოს პარლამენტის შუალედური არჩევნების წინასაარჩევნო პერიოდის

---

## მ ო ნ ი ტ ო რ ი ნ გ ი

## შესავალი

2010 წლის აპრილიდან ადამიანის უფლებათა ცენტრი „ფონდ ღია საზოგადოება - საქართველოს“ ფინანსური მხარდაჭერით ახორციელებდა პროექტს “ადგილობრივი სამართლიანი არჩევნების ხელშეწყობა სამეგრელო ზემო-სვანეთისა და კახეთის რეგიონში”.

## მონიტორინგის განხორციელების პერიოდი, წყარო და მეთოდოლოგია

წინამდებარე მონიტორინგი მომზადებულია 2010 წლის აპრილი – მაისში წინასაარჩევნო პერიოდში მიმდინარე მოვლენათა შესახებ, ადამიანის უფლებათა ცენტრის რეგიონალური კოორდინატორების (შიდა ქართლის, აჭარის, სამეგრელოს და კახეთის) და ამავე ცენტრის ვებ პორტალის (ზესტაფონის, ქუთაისის, ხონი-სამტრედიის, გურიისა და ქვემო ქართლის) კორესპონდენტების და ასევე, რამდენიმე საინფორმაციო სააგენტოს მიერ გამოქვეყნებულ ინფორმაციებზე დაყრდნობით.

მონიტორინგში ყურადღება გამახვილებულია წინასაარჩევნო პერიოდში გამოვლენილ დარღვევათა შემდეგ სახეებზე, როგორც არის: არაუფლებამოსილი პირების მონაწილეობა წინასაარჩევნო კამპანიაში, ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება; იძულების ფაქტები ამომრჩევლებზე; ბიზნესმენტათვის ფულის გამოძალვის ფაქტები; ზეწოლა ჟურნალისტებზე; ზეწოლა პოლიტიკური პარტიების წევრებზე; საარჩევნო-სააგენტაციო მასალების განადგურება; კენჭისყრის გაყალბების მეთოდები და სხვა.

## **I არაუფლებამოსილი პირების მონაწილეობა წინასაარჩევნო კამპანიაში**

საქართველოს საარჩევნო კოდექსის 73-ე მუხლის მე-2 პუნქტით წინასაარჩევნო აბიტაციის გაწევის და აბიტაციაში მონაწილეობის უფლება აქვს ნებისმიერ პირს, ბარდა ამავე მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული გამონაკლისებისა, კერძოდ: პროკურატურის, სახელმწიფო და აღგილობრივი თვითმმართველობის ორბანოების საჯარო მოხელეებისა,..... როდესაც ისინი უშუალოდ ასრულებენ სამსახურებრივ ფუნქციებს.
--

საარჩევნო კოდექსის ზემოაღნიშნული შეზღუდვის მიუხედავად, 2010 წლის 30 მაისის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების დანიშვნისა და წინასაარჩევნო კამპანიის

დაწყების შემდგომ, აქტიურად ფიქსირდებოდა წინასაარჩევნო კამპანიაში არაუფლებამოსილი პირების ჩართულობის ფაქტები. კერძოდ:

- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ერთეულების რწმუნებულებს სამუშაო კაბინეტები „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ საარჩევნო პლაკატებითა და ბუკლეტებით ჰქონდათ გადაჭედილი.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ გურიანთის რწმუნებულის ბახვა კვერდელიძის განცხადებით, სოფელ გურიანთის ტერიტორიული ერთეულის ადმინისტრაციულ შენობაში, კონკრეტულად კი მის სამუშაო ოთახში „ნაციონალური მოძრაობის“ შტაბი გახლდათ განთავსებული. სწორედ ამავე ოთახში, კვერდელიძის სამუშაო მაგიდაზე განთავსებული გახლდათ საოლქო საარჩევნო სიები, რომლის შესახებ კვერდელიძემ განაცხადა, რომ “ეს სიები გადააქსეროქსა და ამის შესახებ უნდა იმუშაოს #60/24 უბანში, რომ არ მოხდეს გარღვევა”. იქვე აღმოჩნდა „შიდა სამუშაო სამსახურეობრივ სხვა“-დ წოდებული სია, რომელშიც თითოეული ამომრჩევლის სახელისა და გვარის გასწვრივ მინიშნებული გახლდათ: კაპანაძე თენგიზ არჩევნებზე არ მოდის, არობელიძე რუსიკო მოწინააღმდეგეა, კვაჭანტირაძე გოგლა - მომხრე, პატარავა გოჩამ თავი შეიკავა, მალაზონია კარლო არ იქნება და ა.შ. ასეთი მონაცემების ამსახველი სია ფიქსირდებოდა სოფელ მერიის რწმუნებულის ვაჟა ცინციბაძის სამუშაო მაგიდაზეც. თუმცა მან ჟურნალისტის სტუმრობისთანავე აღნიშნული სიები გაზეთებით შეფუთა, მაგრამ იქვე დარჩა სია, სადაც „მომხრე-მოწინააღმდეგე“ პლიუს-მინუსებით გახლდათ აღნიშნული. იქვე მინიშნებული იყო აღნიშნულთა მობილურის ნომრები. ნაციონალური მოძრაობის სააგიტაციო პლაკატები ფიქსირდებოდა სოფელ ოზურგეთის რწმუნებულის გრიგოლ ჩხაიძის სამუშაო კაბინეტშიც.<sup>1</sup>

- გურჯაანის რაიონული პროკურორი გელა ლაზაშვილი, ნაკლებად მძიმე დანაშაულებში ბრალდებულებს, სახელისუფლებო პარტიის მხარდაჭერის სანაცვლოდ, საპროცესო გარიგებას სთავაზობდა. ამის შესახებ ინფორმაციას ადამიანის უფლებათა ცენტრი ავრცელებდა. ორგანიზაციის ინფორმაციით, ბოლო ერთი თვის განმავლობაში, დანაშაულში ბრალდებულ პირებთან, გურჯაანის რაიონული პროკურატურა საპროცესო გარიგებებს მასობრივად აფორმებდა. „პრაქტიკულად ადვოკატები მხოლოდ საპროცესო გარიგებებზე მუშაობდნენ. საქმეები არსებითი განხილვისათვის სასამართლოში აღარ იგზავნებოდა. ბრალდებულებს ჯარიმის რაოდენობაზეც შეღავათებს უწყევდნენ, სამაგიეროდ კი, მათგან „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდაჭერას მოითხოვდნენ“.

<sup>1</sup> <http://www.humanrights.ge/index.php?a=article&id=5058&lang=ge;http://ivote.ge/index.php/ka/2010-05-03-09-02-14/556-2010-06-07-09-38-58.html>

29 აპრილს, გურჯაანის კულტურის ცენტრში, „ნაციონალური მოძრაობის“ პარტიული სიის და მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატების წარდგენას რაიონული პროკურორი ესწრებოდა გურჯაანის რაიონულ პროკურატურაში ამ საკითხზე კომენტარი არ გააკეთეს<sup>2</sup>.

**საქართველოს საარჩევნო კოდექსის 73-ე მუხლის მე-5 ნაწილის “თ” ქვეპუნქტის თანახმად, წინასაარჩევნო აბიტაციაში მონაწილეობის მიღების უფლება არ აქვთ სახელმწიფოსა და აღბილობრივი თვითმართვლოების ორბანოების საჯარო მოხელეებს, როდესაც ისინი უშუალოდ ასრულებენ სამსახურბობრივ უშნძციებს.**

➤ გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი გოგა პეტრუზაშვილი, მოსახლეობასთან შეხვედრების დროს ხალხს დახმარებას ჰპირდებოდა, სანაცვლოდ კი ამომრჩეველს „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდაჭერისკენ მოუწოდებდა. პეტრუზაშვილი უარყოფდა აღნიშნულ ფაქტსა და სახელისუფლებო პარტიის წინასაარჩევნო კამპანიაში მონაწილეობას, თუმცა აღნიშნულის შესახებ არსებობს ფოტო მტკიცებულებები, რომლებიც მმართველი პარტიის წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში არის გადაღებული<sup>3</sup>.

## II ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების ფაქტები

საქართველოს საარჩევნო კოდექსის 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად ბანსახვორულ წინასაარჩევნო აბიტაციაში მონაწილეობის უფლების მქონე ნებისმიერ პირს ეკრძალება რომელიმე პარტიის (საარჩევნო ბლოკის) ან კანდიდატის მხარდასაჭერად წინასაარჩევნო აბიტაციისა და კამპანიის წარმოების პროცესში შეიძები სახის აღმინისტრაციული რესურსების გამოყენება:

- ა) სახელმწიფო ხელისუფლებისა და აღბილობრივი თვითმართვლოების ორბანოების მიერ, დაკავშული შნნობების გამოყენება;
- ბ) სახელმწიფო ხელისუფლების დაწესებულებებისათვის ან აღბილობრივი თვითმართვლოების ორბანოებისათვის ბანკუთვნილი საკომუნიკაციო საშუალებებისა და სხვადასხვა სახის ტექნიკის გამოყენება;
- ბ) სახელმწიფო ხელისუფლების ან აღბილობრივი თვითმართვლოების ორბანოების საკუთრებაში არსებული სატრანსპორტო საშუალებების უსასყიდლოდ გამოყენება.

<sup>2</sup> <http://ickgeorgia.org/ka/rubrics/politics/1316-2010-05-13-14-02-33.html> ; <http://www.ivote.ge/index.php/en/2010-05-03-09-02-14/194-2010-05-13-10-09-26.html> ; <http://humanrights.ge/new/index.php?a=main&pid=11620&lang=geo>

<sup>3</sup> <http://www.humanrights.ge/index.php?a=article&id=5000&lang=ge>

საქართველოს საარჩევნო კოდექსის ზემოაღნიშნული აკრძალვის მიუხედავად, წინასაარჩევნო კამპანიის დაწყებისთანავე, სახელისუფლებო პარტიის მხრიდან აქტიურად ფიქსირდებოდა ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების ფაქტები.

საჯარო მოხელეები, წინასაარჩევნო კამპანიაში ჩართულობის ლეგიტიმაციისათვის კუთვნილი შვებულებებით სარგებლობდნენ, რომლის დროსაც კვლავ განაგრძობდნენ თავიანთ სამსახურებრივ საქმიანობას, ჩვეულ რეჟიმში მართავდნენ სამუშაო შეხვედრებს ადგილობრივი თვითმართველობისა და ადმინისტრაციული ორგანოების წარმომადგელებთან, იღებენ მოქალაქეებს და ა.შ. სწორედ აღნიშნულ დროს საჯარო მოხელეები სარგებლობენ ადმინისტრაციული რესურსებით. ყოველივე აღნიშნული კი ეწინააღმდეგება როგორც საქართველოს კანონმდებლობას, ასევე, საერთაშორისო სახელმძღვანელო დოკუმენტებს.

**1990 წლის კოპენჰაგენის კონფერენციის დოკუმენტის “არჩევნებსა და დემოკრატიაზე”, მმ-5 მუხლში მითითებულია, რომ უნდა არსებობდეს “ნათელი ბანსხვაგვება სახელმწიფოსა და პოლიტიკური პარტიებს შორის. კერძოდ, არ უნდა მოხდეს პოლიტიკური პარტიებისა და სახელმწიფოს აღრევა.”**

მიუხედავად ყოველივე ზემოაღნიშნულისა:

- „ნაციონალური მოძრაობის“ დეპუტატობის კანდიდატები, გურჯაანის საგანმანათლებლო რესურს-ცენტრის უფროსი ლალი გაბიტაშვილი და იურისტი დარეჯან ბურდიაშვილი, ოფიციალურად შვებულებით სარგებლობდნენ, თუმცა სამსახურებრივ მოვალეობებს ასრულებდნენ და ადმინისტრაციულ რესურსებს იყენებდნენ. ფაქტობრივად, ლალი გაბიტაშვილი კურირებდა ექსტერნის გამოცდებს, რომელიც გურჯაანის რაიონის სოფელ ველისციხის საჯარო სკოლაში ტარდებოდა. ამასთან, ლალი გაბიტაშვილი სარგებლობდა სამსახურებრივი ტელეფონით და რესურსცენტრის ტექნიკით<sup>4</sup>.
- შვებულებით სარგებლობდა გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლებისა და სოციალური განვითარების სამსახურის სპეციალისტი სოციალურ საკითხებში ეკატერინე ნაქევხრიშვილი, რომელიც 16 აპრილიდან გასული იყო შვებულებაში და საოლქო-საარჩევნო კომისიის მიერ დანიშნული გახლდათ კოლაგის საუბნო-საარჩევნო კომისიის თავმჯდომარედ. მიუხედავად ამისა, იგი დადიოდა გამგეობის სამუშაო ოთახში, ასევე „ნაციონალური მოძრაობის“ საარჩევნო შტაბში, სადაც სოციალურად დაუცველ მოქალაქეებს იღებდა და ადგილობრივი

<sup>4</sup> <http://www.humanrightsge.org/index.php?a=article&id=4974&lang=ge> ;  
<http://www.humanrights.ge/index.php?a=news&id=7875&lang=ge>

ბიუჯეტიდან ერთჯერად სოციალურ დახმარებებს ჰპირდებოდა. ამასთან, ეკატერინე ნაქევრიშვილი სარგებლობდა გამგეობის კორპორატიულ რეჟიმში ჩართული მობილური ტელეფონით<sup>5</sup>.

- იგივე ტენდენციები გახლდათ სხვადასხვა მუნიციპალიტეტებში. კერძოდ, საგარეჯოს მუციპალიტეტის გამგებელი გია ჩალათაშვილი, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის გამგებელი გია გოზალიშვილი, გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგებელი გიორგი ჩივიაშვილი და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებელი ლევან ბალაშვილი თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობის მიზნით თანამდებობებიდან გადადგნენ. თანამდებობიდან გადადგომის მიუხედავად, ყოფილი გამგებლები სარგებლობდნენ სამსახურებრივი მანქანებით, მუნიციპალიტეტის გამგებლის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე ხვდებოდნენ მოსახლეობას და რაიონში არსებულ პრობლემებზე რეაგირებას საბიუჯეტო რესურსებით ახდენდნენ<sup>6</sup>.

საქართველოს საჯარო სამსახურის შესახებ კანონის 64-ე მუხლის თანახმად, სახელმწიფო მოსამსახურეს უფლება არა აქვს ეკავოს სხვა თანამდებობა ან შეთავსებით ასრულებდეს სხვა ანაზღაურებად სამუშაოს სხვა სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულებაში, იყოს ნებისმიერი დონის წარმომადგენლობითი ან საკანონმდებლო ორბანოს წევრი, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი.

- იგივე ვითარება გახლდათ ოზურგეთის რაიონში სადაც პარტიამ „ჩვენ თვითონ“ საოლქო საარჩევნო კომისიაში ოზურგეთის მუნიციპალური კულტურის ცენტრის თანამშრომელი წარადგინა. „მრეწველების“ პარტიამ კი არჩევანი საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ფოთის სამმართველოს გურიის ზონის ზედამხედველზე შეაჩერა. აღნიშნული პირები საჯარო სამსახურიდან არ განთავისუფლებულან და იმავდროულად ისინი საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები გახლდნენ.<sup>7</sup>

<sup>5</sup> <http://www.humanrights.ge/index.php?a=news&id=7859&lang=ge> ; <http://ivote.ge/index.php/ka/2010-04-22-18-45-24/261-2010-05-20-09-12-40.html> ; <http://www.fact.ge/news.aspx?i=b66d5e17-26ed-4ea8-9ca4-699ec1300a25>

<sup>6</sup> [http://georgiannews.ge/index.php?option=com\\_news&task=gourl&id=114756](http://georgiannews.ge/index.php?option=com_news&task=gourl&id=114756) ; [http://www.ick.ge/rubrics/politics/1135-2010-04-28-07-07-35.html?format=html&Itemid=92&option=com\\_content&id=1135:2010-04-28-07-07-35&view=article&month=3&year=2010&fontstyle=f-larger](http://www.ick.ge/rubrics/politics/1135-2010-04-28-07-07-35.html?format=html&Itemid=92&option=com_content&id=1135:2010-04-28-07-07-35&view=article&month=3&year=2010&fontstyle=f-larger)

<sup>7</sup> <http://www.humanrights.ge/index.php?a=news&id=7737&lang=ge>

- ოზურგეთის #60 საოლქო საარჩევნო კომისიაში, ცენტრალური საარჩევნო კომისიიდან დანიშნული დარეჯან რუსიეშვილი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მე-4 საჯარო სკოლის პედაგოგი გახლდათ, რომელიც როგორც მე-4 საჯარო სკოლის დირექტორმა ტარიელ კალანდაძემ განაცხადა, დარეჯან რუსიეშვილი 2010 წლის 21 აპრილის მდგომარეობით შვებულებით არ სარგებლობდა.
  
- 16 თებერვალს ყოფილი პრემიერ - მინისტრის ზურაბ ნოღაიდელის წინააღმდეგ თელავში, ერეკლეს ძეგლის მიმდებარე ტერიტორიაზე ახალგაზრდებმა აქცია გამართეს. აქციაში სულ 130-მდე ადამიანი მონაწილეობდა. აქედან რამდენიმე თელავის უნივერსიტეტის სტუდენტი გახლდათ. დანარჩენი მონაწილეები „ნაციონალური მოძრაობის“ ადგილობრივი ორგანიზაციის აქტივისტები იყვნენ. აქცია ნაციონალური მოძრაობის ადგილობრივი ორგანიზაციების წარმომადგენლების ორგანიზებით გაიმართა და მასში გამგეობის ახალგაზრდული სექტორის თანამშრომლებიც მონაწილეობდნენ. აქციის მონაწილეებმა თელავში ნოღაიდელის რუსეთში ვიზიტები გააპროტესტეს და მას სამშობლოს მოღალატე უწოდეს. აქციის დასასრულს ახალგაზრდებმა ნოღაიდელის ფიტული შემადღებული ადგილიდან დააგორეს. აქციის მონაწილე ახალგაზრდები აქციამდე რამდენიმე წუთით ადრე ნაციონალური მოძრაობის გურჯაანის ორგანიზაციის ოფისში შეიკრიბნენ. მათ გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის განყოფილების თანამშრომელი თემურ ბუწაშვილი და ნაციონალური მოძრაობის წევრი ზურაბ ხევიაშვილი ხელმძღვანელობდათ. იმის მიუხედავად, რომ აქცია მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამშრომლების და მმართველი პარტიის წარმომადგენლების მიერ იყო ორგანიზებული, კახეთის გუბერნატორის პირველმა მოადგილემ გიორგი სიბაშვილმა განაცხადა: „ეს პარტია კახეთში იმდენად სუსტია, რომ მის ოპონირებაზე დროსაც კი არ ვხარჯავთ“. 16 თებერვალს, საღამოს საინფორმაციო გამოშვებებში ტელეკომპანიებმა „რუსთავი 2“-მა და „პირველმა არხმა“ გადასცეს, რომ ნოღაიდელის წინააღმდეგ სტუდენტებმა ამჯერად კახეთში გაილაშქრეს და გურჯაანსა და თელავში საპროტესტო აქციები გამართეს<sup>8</sup>.

საქართველოს საარჩევნო კოდექსის 75-ე მუხლის მე-4-ე ნაწილის თანახმად, აკრძალულია საარჩევნო კლასების გაკვრა სახელმწიფო ხელისუფლების და ადგილობრივი თვითმმართველობის ორბანოების შენობების ინტერიერსა და ექსტერიერში.

<sup>8</sup> <http://ickgeorgia.org/ka/articles/781-2010-03-30-08-19-01.html> ;  
<http://www.humanrights.ge/rss/index.php?a=more&r=analytical&id=4823&lang=ge>

- 27 მაისს სოფელ ოზურგეთის საბავშვო ბაღის შენობას მხოლოდ მმართველი პარტიის საარჩევნო პლაკატი ამშვენებდა. ადამიანის უფლებათა ცენტრის კორესპონდენტთან პირად საუბარში, ამავე ბაღის გამგე მადლენა ანდლულაძე აღნიშნავს, რომ „ყველაფერი ნაციონალებმა გაუკეთეს და ახლაც ისინი ამარაგებენ სხვადასხვა სახის პროდუქტებით. რამდენჯერმე დაგვეხმარნენ ზეთით, შაქრით, ფქვილით, საჩუქრებით“. ჟურნალისტის კითხვაზე: ახლა თუ გეხმარებიან? ბაღის გამგე პასუხობს, რომ „კი, ყველაფერს, რაც შეუძლიათ, აკეთებენ. ახლა კაბინეტს და შემოსასვლელს გვიკეთებენ. ეს, „ნაციონალური მოძრაობის“ ინიციატივით კეთდება და არა გემგობის? კი, „ნაციონალური მოძრაობა“, გამგეობა და ჩვენ ყველა ერთად ვართ შეკრული“ - აცხადებს ბაღის გამგე.

**საქართველოს საჯარო სამსახურის შესახებ კანონის 89-ე მუხლის შესაბამისი კუნძულების თანახმად, სამსახურმოპოვო ურთიერთობა შეჩერდება:**

**ბ) შვებულების დროს;**

**ე) მოხელის კანდიდატად წამოყენებისას საარჩევნო ბიულეტენი ან წარმომადგენლობითი ორბანოების არჩევნებში, თუ კანონით სხვა რამ არ არის ბათვალისწინებული.**

ლოზუნგით “ყველანი შვებულებაში” თელავის მუნიციპალიტეტში 26-ვე ტერიტორიული ორგანოს რწმუნებული შვებულებაში გავიდა. აღნიშნულ ფაქტს თავად თელავის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი გიორგი ხატიაშვილი ადასტურებდა. ამავე მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილის დავით ქსოვრელიშვილის განცხადებით, კი ზემოთაღნიშნული პირების შვებულებაში გასვლის მიზეზი ზოგიერთი მათგანის კენჭისყრის და წინასაარჩევნო კამპანიაში ჩართულობის მიზეზით იყო გამოწვეული<sup>10</sup>.

აქვე უნდა აღინიშნოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ფუნქციონირების საკითხი, რომლის ხელმძღვანელი პირები წინასაარჩევნოდ თანამდებობიდან გადადგნენ, მათი მოვალეობის შემსრულებლები კი, თვითგამორკვევის პროცესში გახლდნენ, რაც მუნიციპალიტეტის საქმიანობას უდაოდ აფერხებდა<sup>11</sup>.

ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის, არჩევნების სადამკვირვებლო მისიის შუალედურ ანგარიშ №2-ში აღნიშნულია, რომ წინასაარჩევნო პერიოდში ზღვარი სახელმწიფოსა და მმართველ პარტიას შორის ზოგჯერ ბუნდოვანი გახლდათ. დასკვნაში ასევე აღნიშნულია, რომ ის დებულებები, რომლებიც

<sup>9</sup> <http://www.humanrights.ge/new/index.php?a=main&pid=8265&lang=geo> ; <http://www.ivote.ge/index.php/ka/2010-05-03-09-14-40/325-2010-05-24-11-57-12.html>

<sup>10</sup> <http://www.humanrights.ge/rss/index.php?a=more&r=news&id=7758&lang=ge>

<sup>11</sup> <http://www.humanrights.ge/new/index.php?a=text&pid=8188&lang=geo>

გარკვეული საჯარო მოხელეების საარჩევნო კამპანიაში შეუზღუდავი მონაწილეობის და ასევე საარჩევნო კამპანიის მიზნებისათვის ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების საშუალებას იძლევა, არ უზრუნველყოფს თანაბარ პირობებს არჩევნებში მონაწილე ყველა სუბიექტისათვის.

უნდა აღინიშნოს, რომ კახეთის მუნიციპალიტეტების გამგებლების მიერ ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების ფაქტები ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის ინიციატივით პარლამენტის ინტერფრაქციული ჯგუფის განხილვის საგანიც გახდა, თუმცა უშედეგოდ. ვერცერთი არასამთავრობო ორგანიზაციის შენიშვნა და საჩივარი ვერ აღკვეთდა ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების ფაქტებს, რადგან საქართველოს პრეზიდენტის მიდგომა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შემდეგი გახლდათ: „ჩვენ ვაპირებთ, გამოვიყენოთ ჩვენს ხელთ არსებული ყველა რესურსი, რათა გავაუმჯობესოთ ხალხის ცხოვრება იმ შემთხვევაშიც კი, თუ იტყვიან, რომ ჩვენ ბოროტად ვიყენებთ ადმინისტრაციულ რესურსებს. კარგით, ჩვენ ბოროტად ვიყენებთ, მაგრამ ამას ისევ გავაკეთებთ, მე მიმაჩნია, რომ ეს კანონიერია“ აღნიშნული განცხადება პრეზიდენტმა ვაშინგტონში, 15 აპრილს ატლანტიკურ საბჭოში სიტყვით გამოსვლისას გააკეთა. სახელმწიფოს მეთაურის ამგვარი მიდგომა ამ საკითხისადმი მხოლოდ დამრღვევთა წახალისებასა და მათ ღია მხარდაჭერას გამოხატავდა.

ის, რაც საქართველოს პრეზიდენტის მიერ ნებადართულ და წახალისებულ იქნა, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით სხვაგვარად რეგულირდება. კერძოდ, საქართველოს საარჩევნო კოდექსის 126<sup>27</sup>-მუხლი ცალსახად კრძალავს წინასაარჩევნო აგიტაციასა და კამპანიას ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებით და თანამდებობრივი ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებას, რაც – იწვევს დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით. ამავე კოდექსის 126<sup>18</sup> – მუხლი კი, იმ პირთა პასუხისმგებლობას იწვევს, რომლებიც წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობენ და იმავდროულად სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოების საჯარო მოხელეები და საარჩევნო კომისიის წევრები არიან (საქართველოს საარჩევნო კოდექსის 73-მუხლის მე-5 პუნქტით). ეს უკანასკნელი დამრღვევთა 1500 ლარით დაჯარიმებას იწვევს.

### **III ბიზნესმენტათვის ფულის გამოძალვის ფაქტები**

მიუხედავად იმისა, რომ სახელისუფლებო პარტიის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ საარჩევნო კამპანიის ფონდში, შემოწირულობების სახით მცირედი თანხები არ

ირიცხებოდა, რაც დასტურდება ცენტრალური საარჩევნო კომისიის ვებ-გვერდზე არსებული ინფორმაციით<sup>12</sup>:

"ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"

შემოწმებულია მონაცემები

№	იურიდიული პირის სახელწოდება და იურიდიული მისამართი	შემოწმების ფორმა (სახე)	თანხის ოდენობა (საბაზრო ღირებულება) ლარებში	შემოწმების მიღების თარიღი
1	პ/ბ."ერთიანი ნაციონალური მოძრაობა", თბილისი,ლ.შპრანიკას № 1	ფულადი	11,000,000.00	12/04/10
2	პ/ბ."ერთიანი ნაციონალური მოძრაობა", თბილისი,ლ.შპრანიკას № 1	ფულადი	1,200,000.00	11/05/10
3	პ/ბ."ერთიანი ნაციონალური მოძრაობა", თბილისი,ლ.შპრანიკას № 1	არაფულადი	312,888.80	25/05/10
4	პ/ბ."ერთიანი ნაციონალური მოძრაობა", თბილისი,ლ.შპრანიკას № 1	ფულადი	1,000,000.00	28/05/10
5	შ.პ.ს. "ლოჯინი", თბილისი, გამსახურდიას გამზ. № 17-ა. ბ. № 69	ფულადი	80,000.00	31/05/10
6	შ.პ.ს. "ბელ-ბაუ", თბილისი, ბამრეკელის ქ. № 19/23	ფულადი	50,000.00	31/05/10
7	შ.პ.ს. "ამტობანი", თბილისი, უზნაძის № 63	ფულადი	60,000.00	31/05/10
8	შ.პ.ს. "იგოლია", ქ. გორი, ცხინვალის გზატკეცილი გმ-3 კმ.	ფულადი	50,000.00	31/05/10
9	შ.პ.ს. "კამა", ქ. ხაშური, ტაბიძის ქ. № 26	ფულადი	100,000.00	31/05/10
10	ს.ს. "თბილისი", თბილისი, ძმ. მამიაძის შესახვევი № 3	ფულადი	60,000.00	31/05/10
11	შ.პ.ს. "გზაგზანი-4", თბილისი, რუსთავეის გზატკეცილი, № 247	ფულადი	70,000.00	31/05/10
12	შ.პ.ს. "საავტომობილო გზების რეაბილიტაციისა და მოდერნიზაციის ზედამხედველობის სამსახური", თბილისი, ზოთაძის ქ. № 20	ფულადი	50,000.00	31/05/10
13	შ.პ.ს. "კავკასიანთმშენებელი", საგარეჯო, თბილისი-ლაგოდეხის 36 კმ.	ფულადი	80,000.00	31/05/10
	ჯამი		14,112,888.80	

ფიზიკური პირის სახელი და გვარი	მისამართი	პირადობის დამადასტურებელი მოწმობის №	შემოწმების ფორმა (სახე)	თანხის ოდენობა, (საბაზრო ღირებულება)	შემოწმების მიღების თარიღი
ვაჟა ნემსაძე	თბილისი, კნოლუვის ქ. № 5	№ 01019004953 № ღ 0094844	არაფულადი	250.00	25/04/10
კარლო კვიციანი	თბილისი, ბუღაჩაშვილის ქ. II ბ. 50	№ 01024025332 № ბ 0377944	არაფულადი	273.00	02/05/10
				523.00	

<sup>12</sup> [http://www.cec.gov.ge/index.php?lang\\_id=GEO&sec\\_id=67&info\\_id=6504](http://www.cec.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=67&info_id=6504)

კახეთის საინფორმაციო ცენტრის ინფორმაციით, კახეთის რეგიონში „ნაციონალური მოძრაობა“ წინასაარჩევნო კამპანიისთვის ბიზნესმენებისგან თანხების გადახდას ითხოვდა, წინააღმდეგ შემთხვევაში კი მათ დაპატიმრებით ემუქრებოდა. ადამიანის უფლებათა ცენტრის რეგიონულ კოორდინატორებთან პირად საუბარში არაერთმა ბიზნესმენმა აღნიშნა, რომ სამართალდამცავ უწყებებში დაიბარეს და სახელისუფლებო პარტიის წინასაარჩევნო კამპანიის დაფინანსება მოსთხოვეს. მოთხოვნილი თანხა 20 000 ლარიდან იწყება და კომპანიის შემოსავლების მიხედვით იზრდებოდა. გადამოწმებული ინფორმაციით, რამდენიმე ბიზნესმენი დააკავეს, თუმცა ისე, რომ მათი დაკავების შესახებ ოფიციალური დოკუმენტაცია არ შედგენილა, ისინი თანხის გადახდის შემდეგ გაათავისუფლეს.

#### IV იძულების ფაქტები ამომრჩევლებზე

წინასაარჩევნო კამპანიის მიმდინარეობისას, ასევე ფიქსირდებოდა ამომრჩეველთა იძულების ფაქტები.

<p>საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 150-ე მუხლით ისჯება აღამიანისთვის ქმედების თავისუფლების უკანონო შეზღუდვა, ე.ი. მისი ფიზიკური ან ფსიქიკური იძულება, შეასრულოს ან არ შეასრულოს მოქმედება, რომლის განხორციელება, ან რომლისგან თავის შეკავება მის უფლებას წარმოადგენს, ან და საკუთარ თავზე განიცადოს თავისი ნება-სურვილის საწინააღმდეგო ზემოქმედება.</p> <p>იბივე ქმედება, ჩადენილი წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის მიმართ – წარმოადგენს ზემოაღნიშნული მუხლის დამამძიმებელ ბარემოებას.</p>
--

- „ალიანსი საქართველოსთვის“ ახმეტის ორგანიზაცია სოფელ ზემო ალვანის „ნაციონალური მოძრაობის“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატს ბესო ყიზილაშვილს საარჩევნო ხმის უფლების მქონე მე-12 კლასელებზე ზეწოლაში ადანაშაულებდა. როგორც ალიანსის წარმომადგენელი ზაზა ლაგაზიძე აცხადებდა: “ბესო ყიზილაშვილი ახმეტის სამხედრო გაწვევისა და აღრიცხვის სამსახურის სპეციალისტია”. „მართალია, ის ამ დროისთვის შვებულებაში იმყოფებოდა, მაგრამ თავის თანამდებობრივ მდგომარეობას იყენებდა და ბავშვებზე ზეწოლას ახდენდა. მათ ემუქრებოდა, რომ თუ არჩევნებში ხმას „ნაციონალურ მოძრაობას“ არ მისცემენ, ჯარში გაიწვევდა და უმაღლეს სასწავლებელში ჩაბარებას ვეღარ შეძლებდნენ. ყიზილაშვილის მხრიდან მე-12 კლასელებზე ზეწოლის ფაქტი კახეთის

საინფორმაციო ცენტრს ზემო ალვანის საჯარო სკოლის მე-12 კლასის რამდენიმე მოსწავლემაც დაუდასტურა<sup>13</sup>.

- ასევე, არსებობდა ფაქტი, რომლის მიხედვითაც ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ომალოში „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები სოციალურად დაუცველებს, სოციალური დახმარებების მოხსნით ემუქრებოდნენ, იმ შემთხვევაში თუ ისინი არჩევნებში ხმას „ნაციონალურ მოძრაობას“ არ მისცემდნენ. ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმომადგენელს მუქარის ფაქტი ქვემო ომალოს მაცხოვრებლებმა დაუდასტურეს. თუმცა ამომრჩევლებზე ზეწოლას უარყოფდა სახელისუფლებო პარტიის ახმეტის საარჩევნო შტაბის წარმომადგენელი, მუნიციპალიტეტის გამგებელი კობა მაისურაძე. მისი თქმით, ზეწოლის შესახებ გავრცელებული ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამებოდა. გარდა ამისა, სოციალურად დაუცველებს, რომლებიც სიღარიბის დაძლევის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში საარსებო შემწეობებს იღებენ, „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლების წინასაარჩევნო შეხვედრებზე დასწრებას ავალდებულებდნენ<sup>14</sup>.
- ადამიანის უფლებათა ცენტრის, კახეთის საინფორმაციო ცენტრის ცნობით, ახმეტის რაიონის სოფელ აწყურში, სკოლის პედაგოგებს აფრთხილებდნენ, რომ იმ შემთხვევაში, თუ ისინი არ მიიღებდნენ მონაწილეობას საარჩევნო აგიტაციაში ნაციონალების სასარგებლოდ, მაშინ მათ სამსახურიდან (სკოლიდან) განთავისუფლება დაემუქრებოდათ. მასწავლებლები ვალდებულნი იყვნენ სახელისუფლებო პარტიის კანდიდატისათვის, აწყურის საჯარო სკოლის დირექტორის ბელა ბახვახიშვილისათვის დაეჭირათ მხარი, რომელიც კენჭს იყრიდა, წინააღმდეგ შემთხვევაში მათთვის არასასურველ შედეგებზე მიუთითებდა დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ზაურ წითელაური. აღნიშნულ ინფორმაციას გვაწვდიდა რესპუბლიკური პარტიის ხოდაშენის მე-9 საუბნო საარჩევნო კომისიის წევრი ლეილა ჯავახიშვილი<sup>15</sup>.

<sup>13</sup> <http://www.georgiaweekly.net/index.php?newsID=6489&PHPSESSID=vtv5698co5hjvmp7l49mo8v6p0> ;  
<http://republicans.ge/index.php?module=A-newsletter&func=display&sid=1278> ;  
<http://www.humanrights.ge/index.php?a=article&id=5000&lang=ge>

<sup>14</sup> <http://ickgeorgia.org/ka/rubrics/humanrights/1355-2010-05-18-07-25-07.html> ;  
<http://ickgeorgia.org/ka/rubrics/politics/1357-2010-05-18-08-44-35.html>

<sup>15</sup> <http://ivote.ge/index.php/ka/2010-04-22-18-45-24/260-2010-05-20-09-11-31.html> ;  
<http://planeta.ge/index.php?showtopic=25213> ; <http://www.humanrights.ge/index.php?a=news&id=7865&lang=ge>

- აქვე უნდა აღინიშნოს ადამიანის უფლებათა ცენტრის ბათუმის ოფისის მიერ მოწოდებული ინფორმაცია, რომლის თანახმადაც, ადამიანის უფლებათა ცენტრის ბათუმის ოფისში განხორციელდა სატელეფონო ზარი, მოქალაქემ ანონიმურობის დაცვა და კონსულტაციის გაწევა ითხოვა. მოქალაქის განცხადებით, “მოსახლეობასთან შეხვედრაზე მოსულმა ნაციონალური მოძრაობის წევრებმა, საუბრისას განაცხადეს, რომ თუ, მათ ხმას არ დავუჭერდით, ისინი ვერ გაიმარჯვებენ და სოციალური შემწეობა, როგორც დახმარება მოგვეხსნება“, მოქალაქის განცხადებით ეს, დახმარება კი, აღნიშნული მოქალაქისათვის ერთადერთი სარჩო გახლდათ<sup>16</sup>.

## V ზეწოლა ჟურნალისტებზე

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლით ისჯება, ჟურნალისტის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელშეშლა, ე.ი. მისი იძულება, ბავრცელოს ინფორმაცია ან თავი შეიკავოს მისი ბავრცელებისაგან.

იბივე ქმედება, ჩადენილი კალაღობის მუქარით ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, წარმოადგენს ზემოაღნიშნული მუხლის დამამძიმებელ ბარემოებას.

მიუხედავად ზემოაღნიშნული აკრძალვისა, არსებობს ფაქტები, რომლებიც წინასაარჩევნო კამპანიის მიმდინარეობისას, ჟურნალისტებზე ზეწოლას ადასტურებენ. კერძოდ:

- გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამშრომელი თამაზ აბრამიშვილი, რომელიც „ნაციონალური მოძრაობის“ გურჯაანის საარჩევნო შტაბში მუშაობდა, ჟურნალისტისთვის პროფესიული საქმიანობის ხელშეშლის გამო, შტაბიდან დაითხოვეს. მან კახეთის საინფორმაციო ცენტრის კორესპონდენტს თამარ კვირიაშვილს პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელი შეუშალა. ჟურნალისტი „ნაციონალური მოძრაობის“ შტაბიდან გამოსულ საჯარო მოხელეებს იღებდა, რომლებიც შვებულებაში არ იყვნენ გასულები, რა დროსაც თამაზ აბრამიშვილმა ის უცენზურო სიტყვებით აგინა და მისთვის ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენება სცადა. ჟურნალისტი იძულებული გახდა, სახელისუფლებო პარტიის საარჩევნო შტაბის მიმდებარე ტერიტორია დაეტოვებინა. ეს ინფორმაცია „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელმა ზაქარია იაგანაშვილმაც დაადასტურა. აღნიშნულის მიზეზად ჟურნალისტი მის კადრებს ასახელებს, რადგან მან, მანამდე შესძლო დაეფიქსირებინა,

<sup>16</sup> <http://www.humanrights.ge/index.php?a=news&id=7841&lang=ge>

თუ როგორ გამოვიდა გამგეობის აპარატის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ლელა ჯავახიშვილი „ნაცმოძრაობის“ შტაბიდან. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ შტაბის ოფისთან იდგნენ სახელმწიფო კომპანიების საკუთრებაში არსებული მანქანები, რომლითაც კანდიდატები სარგებლობდნენ. ჟურნალისტ თამარ კვირიკაშვილის განცხადებით: “როცა დაინახეს, რომ ეს ფაქტები დავაფიქსირე, გადაღების გაგრძელების საშუალება აღარ მომცეს“<sup>17</sup>.

- გაზეთ „გურია ნიუსის“ ჟურნალისტს ჟანა მეგრელიშვილს თბილისის მერიის ახალგაზრდულ საქმეთა მონიტორინგის განყოფილების მთავარმა სპეციალისტმა აკაკი სტურუამ სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა და პროფესიული მოვალეობის შესრულებაში ხელი შეუშალა. ეს ფაქტი 3 მაისს ქალაქ ოზურგეთში „ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატთა მორიგი წარდგენის დროს მოხდა. სტურუამ ჟურნალისტს არ მისცა ღონისძიებაზე ფოტოს გადაღების საშუალება, მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა და საჯაროდ, ხმამაღლა, უშვერი სიტყვებით აგინა, როგორც მეგრელიშვილი, ასევე გაზეთი „გურია ნიუსი“. მიუხედავად იმისა, რომ ამ ინციდენტს ათეულობით „შვებულებაში“ გასული თუ მოქმედი საჯარო მოხელე ესწრებოდა, რეაგირება არავის მოუხდენია. არავის უცდია თბილისის მერიის ახალგაზრდა თანამშრომლის შეჩერება<sup>18</sup>.

## VI ზეწოლა პოლიტიკურ პარტიებზე

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 166-ე მუხლით ისჯება პოლიტიკური ბაიოტიანების საქმიანობისათვის უკანონოდ ხელის შეშლა კალაღობით, კალაღობის მუქარით ან სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 156-ე მუხლით ისჯება ადამიანის დევნა პოლიტიკურ მოღვაწეობასთან დაკავშირებით, ჩადენილი კალაღობით ან კალაღობის მუქარით ან და სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით

<sup>17</sup> <http://ick.ge/ka/rubrics/main-news/61-tnews/1313-2010-05-13-12-45-14.html> ;  
<http://www.humanrights.ge/index.php?a=news&id=7830&lang=ge> ; <http://ickgeorgia.org/ka/rubrics/society/1434-2010-05-24-13-10-15.html>

<sup>18</sup> <http://www.ivote.ge/index.php/en/2010-05-03-09-02-14/158-2010-05-10-18-21-20.html> ;  
<http://www.humanrights.ge/index.php?a=news&id=7852&lang=ge>

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მოახლოებასთან ერთად, რეგიონებში ოპოზიციის მხარდამჭერებზე ზეწოლის ფაქტებმა იმატა. ძალოვანი სტრუქტურების და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები სოციალური დახმარების მოხსნით, ოჯახის წევრების ან ახლობლების სამსახურიდან გათავისუფლებით, იარაღის ან ნარკოტიკის ჩადებით და დაკავებით ემუქრებიან ოპოზიციური, პოლიტიკური ორგანიზაციების წევრებსა და აქტივისტებს, თუკი პარტიების სასარგებლოდ მუშაობას არ შეწყვეტენ. პოლიტიკური პარტიები ხშირად მიუთითებდნენ მათი წარმომადგენლების მისამართით განხორციელებული დაშინებისა და მუქარის ფაქტებზე. მათივე განცხადებით, სწორედ ზემოაღნიშნული ფაქტები გახლდათ სუბიექტების მხრიდან არჩევნებში მონაწილეობაზე უარის თქმის მიზეზი. თუმცა აღნიშნულ პირთა უმრავლესობას სააშკარაოზე არ გამოაქვს მათი გადაწყვეტილების მიზეზი-საფუძველი და იმ პირთა კონკრეტული ვინაობა, რომელთა მიზეზითაც კანდიდატები უარს აცხადებდნენ არჩევნებში მონაწილეობაზე.

ზეწოლის ფაქტები შემდეგია:

- კახეთში ზეწოლის ყველაზე მეტი ფაქტი ყოფილი პრემიერ-მინისტრის, ზურაბ ნოღაიდელის მოძრაობა „სამართლიანი საქართველოსთვის“ იმ აქტივისტებზე დაფიქსირდა, ვინც სიების კარდაკარ გადამოწმების პროცესში გახლდათ ჩართული. მანანა ჩალახეშაშვილმა და მარიამ მჭედლიშვილმა, მოძრაობა „სამართლიანი საქართველოსთვის“ ლაგოდების რაიონული ორგანიზაციის დავალებით, ამომრჩეველთა სიების კარდაკარ გადამოწმებაზე მხოლოდ ოთხი დღე იმუშავეს, მათ საქმიანობის გაგრძელებაზე უარი თქვეს და პარტია დატოვეს. ლაგოდების რაიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელის გიორგი მჭედლიშვილის განცხადებით, პროგრამა „კარდაკარის“ მონაწილეებს პოლიციის თანამშრომლები დაემუქრნენ, რომ თუ ისინი ნოღაიდელის პარტიაში მუშაობას დაუყოვნებლივ არ შეწყვეტდნენ, მათი ოჯახის წევრებს პრობლემები შეექმნებოდათ. მისივე თქმით, მოძრაობის აქტივისტებზე ზეწოლა განხორციელდა სოფელ ცოდნისკარშიც. „დაშინების გამო „კარდაკარის“ კიდევ ორმა მონაწილემ მუშაობაზე უარი თქვა. ინტერვიუერების დაშინება სოფლის რწმუნებულის ბადურ კოპალიანის მიერ მოხდა“, - აცხადებდა პარტიის ლაგოდების ორგანიზაციის ხელმძღვანელი გიორგი მჭედლიშვილი. პროგრამა „კარდაკარის“ მონაწილეებზე ზეწოლის ფაქტი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტშიც დაფიქსირდა. პარტიის აქტივისტის ნინო ქადაგიშვილის თქმით, სოფელ საბათლოს გამგებელმა დავით გუნდაძემ მას ამომრჩეველთა სიების გადამოწმების შეწყვეტა მოსთხოვა. „წინააღმდეგ შემთხვევაში სამსახურიდან გაათავისუფლებენო, დამემუქრა“, - აღნიშნა ნინო ქადაგიშვილმა, რომელიც საბათლოს საჯარო სკოლაში მასწავლებლად მუშაობს. ნოღაიდელის პარტიის

ბრალდებებთან დაკავშირებით შს ლაგოდების რაიონულ სამმართველოში კომენტარი არ გააკეთეს. ცოდნისკარის და საბათლოს ტერიტორიული ორგანოების რწმუნებულებმა კი ბრალდებები კატეგორიულად უარყვეს და ნოლაიდელის პარტიის წევრები ცრუ ინფორმაციების გავრცელებაში დაადანაშაულებს<sup>19</sup>.

- კახეთის საინფორმაციო ცენტრის ინფორმაციით, ეროვნულ საბჭოს საოლქო საარჩევნო კომისიაში 11-კაციანი პარტიული სია ჰქონდა წარდგენილი, საიდანაც ორმა კანდიდატმა არჩევნებში მონაწილეობაზე უარი განაცხადა. კანდიდატებმა მზია ხუტუაშვილმა და ანეტა მღებრიშვილმა არჩევნებში მონაწილეობაზე უარი პარტიული სიის წარდგენის შემდეგ განაცხადეს. ეროვნულ საბჭოში აღნიშნავდნენ, რომ კანდიდატებზე ზეწოლა კახეთის გუბერნატორის ადმინისტრაციიდან ხდებოდა. კახეთის გუბერნატორის პირველი მოადგილე გიორგი სიბაშვილი „ეროვნული საბჭოს“ პარტიული სიის კანდიდატებზე რაიმე სახის ზეწოლას კატეგორიულად უარყოფდა<sup>20</sup>.
- მოძრაობა „სამართლიანი საქართველოსთვის“ რუსთავის ოფისის ხელმძღვანელი ნუკრი შათირიშვილი, ასევე, პარტიის წევრების დევნაზე საუბრობდა. მისი თქმით, არჩევნების მოახლოებასთან ერთად მისი თანამოზრეების მსგავსად იმ ადამიანების უფლებებიც ირღვეოდა, რომლებიც თუნდაც სულ ერთხელ შედიოდნენ ნოლაიდელის პარტიის ადგილობრივ ოფისებში. ნუკრი შათირიშვილმა დაასახელა კონკრეტული ფაქტები, კერზოდ, სოფელ სართიჭალაში მცხოვრები ერთ-ერთი რიგითი მოქალაქე „სამართლიანი საქართველოსთვის“ პარტიის მუშაობით დაინტერესდა. მას საუბარი ჰქონდა პარტიის ადგილობრივ კოორდინატორ ვალიკო ბერიძესთან. მოქალაქე სურვილს გამოთქვამდა გარკვეული ფორმით ჩვენთან სამომავლო თანამშრომლობაზე. ზუსტად მეორე დღეს მას მიაკითხეს და უთხრეს, რომ ჩვენთან სტუმრობა ძვირად დაუჯდებოდა. ჩვენ ამ ფაქტთან დაკავშირებით მივმართეთ პოლიციას. მათ აღნიშნულ ფაქტზე რეაგირება არ მოუხდენიათ. პოლიტიკური ნიშნით ზეწოლის გამო „სამართლიანი საქართველოსთვის“ პარტიასთან ურთიერთობაზე უარი თქვა თეთრიწყაროს კოორდინატორმაც, ასევე პრობლემები შეექმნა მარნეულის კოორდინატორის ფირან მაისურაძის მეუღლეს სამსახურში: „იგი საჯარო სკოლაში პედაგოგად მუშაობდა. ასეთივე ზეწოლა

<sup>19</sup> <http://www.humanrights.ge/rss/index.php?a=more&r=analytical&id=4823&lang=ge> ;  
[http://www.ickgeorgia.org/ka/component/blog\\_calendar/?year=2010&month=03&day=15&modid=122](http://www.ickgeorgia.org/ka/component/blog_calendar/?year=2010&month=03&day=15&modid=122)

<sup>20</sup> <http://www.epn.ge/?p=10392> ; <http://justiceforgeorgia.ge/index.php?m=8&newsid=649> ;  
<http://www.humanrights.ge/index.php?a=article&id=4974&lang=ge>

ხორციელდება გარდაბანში პარტიის სამივე წარმომადგენელზე. პარტიის განცხადებით, მსგავსი ვითარების გამო პარტია ვერ ახერხებდა აქტიურ მუშაობას<sup>21</sup>.

- 4 მაისს ღამის 00 საათისთვის, სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორი ზაზა გოროზია, მისი მოადგილე ერეკლე ჯაფარიძე, სამხარეო პოლიციის უფროსი თენგიზ გუნავა, მესტიის გამგებელი კახა კვიციანი, შსს-ს მაღალჩინოსანი ანზორ მარგიანი და სამხარეო საფინანსო პოლიციის უფროსი გიორგი შედანია თანშრომლებთან ერთად მესტიის გამგეობას სტუმრობდნენ. გამგეობაში ძალის გამოყენებით მიიყვანეს პარტია „თავისუფლების“ მაჟორიტარი კანდიდატები: ვახტანგ და ლერი ნაკანები. ლერი ნაკანს ზეწოლის ქვეშ, ხელი სპეციალურად გამზადებულ განცხადებაზე მოაწერინეს, რომლის თანახმადაც, ლერი ნაკანი უარს ამბობს თვითმმართველობის არჩევნებში კანდიდატობაზე. ვახტანგ ნაკანისგან კი მსგავსი ხელმოწერის მიღება ვერ მოასწრეს, რადგან ამ დროს, კაბინეტში შესულმა ადგილობრივი ოპოზიციის წარმომადგენლებმა მისი გამოყვანა შეძლეს. გუბერნატორ გოროზიას აღნიშნულ დროს მესტიაში ყოფნის ფაქტი არ უარუყვია, მაგრამ მომხდარი უარყო. მისი განცხადებით, ის მესტიაში ხშირად ჩადის და ეს გასაკვირიც არ არის. იმ მომენტისათვისაც ის, განაშენიანების პროექტისათვის იყო ჩასული. მისი თქმით: “ოპოზიცია რაღაცას გაიძახის, მაგრამ ეს სიმართლეს მოკლებულია”<sup>22</sup>.
- დედოფლისწყაროს რაიონის ყოფილ გამგებელს გელა იაკობიშვილს 2010 წლის 30 მაისის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში კენჭი ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობიდან, სოფელ წითელწყაროში უნდა ეყარა. წითელწყაროს მაცხოვრებლები ადასტურებენ, რომ საარჩევნო სიების გამოქვეყნებისას ქრისტიან - დემოკრატიული მოძრაობის წარმომადგენლებმა მათ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატად გელა იაკობიშვილი დაუსახელეს. ამ ინფორმაციას პარტიის დედოფლისწყაროს რაიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელი გოდერძი აბულაშვილიც ადასტურებდა. მისი თქმით, გადაწყვეტილი იყო, რომ იაკობიშვილს კენჭი მათი პარტიიდან სოფელ წითელწყაროში უნდა ეყარა, თუმცა მან საბოლოოდ კანდიდატურის ოფიციალურად წამოყენებაზე უარი განაცხადა. იაკობიშვილს, სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებისთვის, 2007 წელს სასამართლომ პირობითი სასჯელი შეუფარდა 5 წლის ვადით, საიდანაც მხოლოდ 3 წელი ქონდა მოხდილი. საარჩევნო კოდექსი პირობით მსჯავრდებულებს არჩევნებში კენჭისყრას

<sup>21</sup> <http://www.humanrights.ge/rss/index.php?a=more&r=news&id=7750&lang=ge>

<sup>22</sup> <http://www.humanrights.ge/index.php?a=article&id=4972&lang=ge;>  
[http://www.factnews.ge/index.php?lang\\_id=GEO&id=11&info\\_id=17224&act=ns](http://www.factnews.ge/index.php?lang_id=GEO&id=11&info_id=17224&act=ns)

არ უკრძალავს, თუმცა იაკობიშვილი სახელისუფლებო წრეებიდან გაფრთხილებულ იქნა, რომ იმ შემთხვევაში თუ კენჭს იყრიდა, მას პრობლემები შეექმნებოდა<sup>23</sup>.

- პოლიტიკური პარტიების კანდიდატთა ზეწოლის ფაქტებს აღნიშნავდა „ხალხის პარტიის“ წარმომადგენელი მამუკა ტაბატაძე. მისი განცხადებით, პარტიამ რამდენიმე პიროვნებას შეთავაზა მაჟორიტარობა. მოლაპარაკებების შემდეგ ეს ხალხი დათანხმდა შეთავაზებას, თუმცა მოგვიანებით ორმა მათგანმა უარი განაცხადა შეთავაზებაზე. დასაწყისში მიზეზი არ სახელდებოდა, შემდგომ კი, ერთ-ერთმა პირად საუბარში თქვა, რომ მასზე ზეწოლა განხორციელდა, რომელიც სახელისუფლებო წრეებიდან მომდინარეობდა. სწორედ აღნიშნული გახლდათ მიზეზი იმისა, რომ ამ ადამიანების არჩევნებში მონაწილეობაზე უარის ეთქვათ<sup>24</sup>.
- პოლიტიკური ნიშნით ზეწოლა დაფიქსირდა გარდაბნის რაიონში „მოდრაობა სამართლიანი საქართველოს“ პარტიის კოორდინატორზე. მას სიტყვიერი შეურაცხოვა მიაყენეს და პარტიის აქტივისტობისთვის თავის დანებება ურჩიეს. მუქარა გარდაბნის გამგებელისგან მომდინარეობდა<sup>25</sup>.
- 6 მარტს მოძრაობა „სამართლიანი საქართველოსთვის“ ახმეტის ორგანიზაცია ოფისის გარეშე დარჩა. „შენობის მეპატრონემ ლუხუმ მეშველიანმა 5 მარტს ოფისის დაცლა მოგვთხოვა, მიუხედავად იმისა, რომ მასთან გაფორმებული საიჯარო ხელშეკრულების ვადა გასული არ იყო. მართალია, ახმეტაში მოსახლეობას ძალიან უჭირს და ბევრი თავის შენობას მიზერულ ფასადაც კი მოგვაქირავებდა, მაგრამ ოფისი ძლივს ვიქირავეთ - განაცხადა პარტიის ახმეტის ორგანიზაციის ხელმძღვანელმა თენგიზ როსტიაშვილმა. მოძრაობა „სამართლიანი საქართველოსთვის“ ახმეტის რაიონული ორგანიზაცია ოფისის მეპატრონეს ლუხუმ მეშველიანს იჯარისათვის ყოველთვიურად 300 ლარს უხდიდა. მეშველიანი ოფისიდან ნოღაიდელის პარტიის წევრთა გაშვების მიზეზებზე არ საუბრობს, თუმცა ორგანიზაციის ოფისიდან დათხოვნის შემდგომ მეშველიანი კვლავ აქირავებს ოფისს<sup>26</sup>.

<sup>23</sup> <http://www.humanrights.ge/index.php?a=article&id=5000&lang=ge;>  
<http://www.humanrights.ge/rss/index.php?a=more&r=analytical&id=5000&lang=ge;>

<sup>24</sup> <http://www.humanrights.ge/index.php?a=article&id=4862&lang=ge;>  
[http://gardabaniherald.blogspot.com/2010/04/blog-post\\_13.html](http://gardabaniherald.blogspot.com/2010/04/blog-post_13.html)

<sup>25</sup> <http://ivote.ge/index.php/ka/2010-05-03-09-14-40/279-2010-05-21-11-07-40.html> ;  
<http://www.humanrights.ge/index.php?a=article&id=4862&lang=ge>

<sup>26</sup> <http://www.humanrights.ge/rss/index.php?a=more&r=analytical&id=4823&lang=ge;>  
<http://ickgeorgia.org/ka/articles/781-2010-03-30-08-19-01.html>

- მოძრაობა „სამართლიანი საქართველოსთვის“ პრესსამსახურის ინფორმაციით, 11 მარტს, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ ჯარაფ ხანგომვილი და სოფელ დუისის გამგებელმა მერაბ ქავთარაშვილმა პარტიის წევრი შოთა ქავთარაშვილი დააშინეს. „11 მარტს ჯარაფ ხანგომვილი და მერაბ ქავთარაშვილი შოთა ქავთარაშვილს სახლში ეწვივნენ და პოლიტიკურ საქმიანობაზე უარის თქმა და ზურაბ ნოღაიდელის პარტიის დატოვება მოსთხოვეს. ისინი შოთა ქავთარაშვილს დაემუქრნენ, რომ თუ ასეთ გადაწყვეტილებას არ მიიღებდა, მას და მისი ოჯახის წევრებს სხვადასხვა ხერხით გაამწარებდნენ. მუქარა დაახლოებით 30 წუთი გაგრძელდა. მათი წასვლის შემდეგ, შოთა ქავთარაშვილი ავად გახდა და სამედიცინო დახმარების აღმოჩენა დასჭირდა“,- იტყობინებოდა პარტიის პრესსამსახური. ამავე წყაროს ცნობით, 12 მარტს, ახმეტაში მოძრაობის ლიდერის ზურაბ ნოღაიდელის ვიზიტი იყო დაგეგმილი. „ამასთან დაკავშირებით, შოთა ქავთარაშვილი საორგანიზაციო საკითხებს აგვარებდა. ჯარაფ ხანგომვილი და მერაბ ქავთარაშვილი მას სახლში კიდევ ერთხელ ესტუმრნენ. მუქარის გამეორებასთან ერთად, მათ შოთა ქავთარაშვილს მოსთხოვეს, არ მისულიყო პარტიის ლიდერთან შეხვედრაზე. შოთა ქავთარაშვილი ავადმყოფობის მიზეზით 12 მარტს შეხვედრაზე ვერ მივიდა“, - ნათქვამია პრესსამსახურის განცხადებაში. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ჯარაფ ხანგომვილი შოთა ქავთარაშვილის მიმართ მუქარის ფაქტს უარყოფდა, თუმცა აცხადებდა, რომ „შოთა ჩემი ძმაცაა. მეგობრულად ვუთხარი, რა გინდა მაგ პარტიაში, ჩვენი გზები გაიყოფა მეთქი, მაგრამ არ დავმუქრებივარ. რა უფლება მაქვს, მაგას ვინ მაპატიებს. ეგ პარტია რა ბრალდებებსაც ავრცელებს, მტკნარი სიცრუეა“, - აღნიშნა ჯარაფ ხანგომვილი<sup>27</sup>.
- ოპოზიციის მხარდამჭერებზე ზეწოლაში ადანაშაულებენ ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგებელს კობა მაისურაძეს. არასამთავრობო ორგანიზაცია „ადამიანის უფლებათა ცენტრის“ ინფორმაციით, გამგებელი ოპოზიციის რამდენიმე აქტივისტს გატაცებითაც კი დაემუქრა. „ოპოზიციის მხარდამჭერებმა ჩვენს წარმომადგენელს, რომელიც მათთან შესახვედრად ახმეტაში ჩავიდა, განუცხადეს, რომ ახმეტის გამგებელმა მათ მოსთხოვათ, ან ხელისუფლების მხარეზე გადავიდნენ ან არცერთი პარტიის სასარგებლოდ არ იმუშაონ. გამგებელმა მოთხოვნის შესრულებაზე უარი მიიღო, რის შემდეგაც ის ოპოზიციის მხარდამჭერებს გატაცებით დაემუქრა. ამასთან, ოპოზიციის ერთ-ერთი მხარდამჭერის ოჯახს, საარსებო შემწეობა შეუწყვიტეს, მეორე აქტივისტის ოჯახის წევრს, კი რომელიც სკოლაში პედაგოგად მუშაობს, სამსახურიდან გათავისუფლებით დაემუქრნენ“, - აღნიშნეს უფლებდაცვით ორგანიზაციაში.

<sup>27</sup> იქვე.

ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგებელმა კობა მაისურაძემ ადამიანის უფლებათა ცენტრის განცხადებაზე კომენტარი არ გააკეთა<sup>28</sup>.

- რესპუბლიკური პარტიის ქუთაისის ოფისის განცხადებით, ხორციელდებოდა პატიმართა ოჯახების ზეწოლა. აღნიშნული გზით ქუთაისის 35-ე საუბნო კომისიის წევრს (რესპუბლიკელების წარმომადგენელს) მოვალეობის შესრულებაზე უარი ათქმევინეს. ოპოზიციის წარმომადგენელთა განმარტებით ჯემალ ძოწენიძის შვილი პატიმარია და იგი რუსთავის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში იხდის სასჯელს. ძოწენიძის მამას ხელისუფლების წარმომადგენლები შვილის ქუთაისის #2 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში გადმოყვანას შეპირდნენ.<sup>29</sup>

## VII საარჩევნო-სააგიტაციო მასალების განადგურება

წინასაარჩევნო კამპანიის დროს გარკვეული პრობლემები აღინიშნებოდა სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიათა სააგიტაციო მასალების გავრცელებასთან დაკავშირებით. აღნიშნულ საკითხს ეხება ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის, არჩევნების სადამკვირვებლო მისია საქართველოში, რომლის შუალედურ ანგარიშ №2-ში აღნიშნულია პოლიტიკურ პარტიათა შორის დაპირისპირება, წინასაარჩევნო პლაკატების გაკვრასთან დაკავშირებით.

საქართველოს საარჩევნო კოდექსის 73-ე მუხლის მმ-7-ე ნაწილის თანახმად, არჩევნების დანიშნის დღიდან საარჩევნო სუბიექტების კანდიდატს უფლება აქვს დაამზადოს წინასაარჩევნო მოწოდებები, განცხადებები, წარწერები, ფურცლები, ფოტო მასალები და სხვა.

აკრძალულია მათი ბავრცელებისათვის ხელის შეშლა და ჩამორთმევა.

საქართველოს საარჩევნო კოდექსის 75-ე მუხლის მმ-4-ე ნაწილის თანახმად, დაუშვებელია და კანონით იწვევა საარჩევნო პლაკატების ჩამოხსნა, ჩამოხმვა, დაფარვა ან დაზიანება, თუ ისინი აკრძალულ ადგილებში არ არის ბაკრული.

სააგიტაციო მასალების განადგურების კონკრეტული ფაქტები შემდეგია:

<sup>28</sup> [http://www.factnews.ge/files/rss/index.php?lang\\_id=GEO&id=2&info\\_id=16893&act=ns](http://www.factnews.ge/files/rss/index.php?lang_id=GEO&id=2&info_id=16893&act=ns)

<sup>29</sup> <http://www.humanrights.ge/index.php?a=article&id=5060&lang=ge>

- „ალიანსი საქართველოსთვის“ კრწანისის მაჟორიტარობის კანდიდატის სოფიო ხორგუანის საარჩევნო-სააგიტაციო მასალის დიდი რაოდენობა იქნა განადგურებული. სააგიტაციო მასალის გაკვრიდან რამოდენიმე საათში, მასალათა დიდი რაოდენობა ან დაზიანებული იყო, ან საერთოდ ჩამოხსნილი, ანაც ზემოდან სახელისუფლებო კანდიდატის სააგიტაციო მასალა იქნა გადაკრული. იგივე პრობლემას აყენებდნენ და საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეებს მიმართავდნენ ამავე ალიანსის მაჟორიტარობის კანდიდატები თინა ხიდაშელი და დავით საგანელიძე<sup>30</sup>.
- საარჩევნო-სააგიტაციო მასალა გაუნადგურეს “ქრისტიან დემოკრატებს”, რომელთაც წინასაარჩევნო ბანერები, განთავსებიდან მეორე დღესვე დაუზიანეს და ჩამოყარეს. აღნიშნული პარტიის მაჟორიტარობის კანდიდატისათვის საარჩევნო ბანერების დაზიანების რიგით მეორე შემთხვევა იყო<sup>31</sup>.
- 20 მაისს ღამით დაუდგენელმა პირებმა ყვარელში „ალიანსი საქართველოსთვის“ საარჩევნო შტაბის კუთვნილი ნივთები გაანადგურეს. როგორც შტაბის ხელმძღვანელმა ნუგზარ ღონიაშვილმა განაცხადა, ჩამოჭრილია საარჩევნო ბანერი და დახეულია პლაკატები<sup>32</sup>.
- „ეროვნული საბჭოს“ წარმომადგენელთა განცხადებით, 19 მაისს, ღამის 3 საათზე, ბათუმში, როდესაც პარტიის ორი აქტივისტი აღმაშენებლის ქუჩაზე საარჩევნო პლაკატებს აკრავდნენ, მათთან უცნობი პირები მივიდნენ და პლაკატები წაართვეს. აღმაშენებლის ქუჩაზე „ეროვნული საბჭოს“ მაჟორიტარობის კანდიდატი ზაურ სოლომონიძე გახლდათ. მისი განცხადებით, უცნობი პირები თეთრი ფერის „პიკაპის“ ჯიპით მოძრაობდნენ: „ავტომობილს ჰქონდა წარწერა – „პატრული“. იქედან შეიარაღებული, სამხედრო ფორმაში გამოწყობილი ადამიანები გადმოვიდნენ და პარტიის აქტივისტებს 60-დე პლაკატი წაართვეს“<sup>33</sup>.
- წინასაარჩევნო სააგიტაციო მასალის საკითხს ეხმაურებოდა „ხალხის პარტის“ აჭარის ორგანიზაცია. ისინი ხელისუფლებას სტამბებზე ზეწოლაში ადანაშაულებდნენ. მათი

<sup>30</sup> <http://www.humanrights.ge/index.php?a=news&id=7887&lang=ge>

<sup>31</sup> <http://www.tavisupleba.org/content/article/2052283.html>

<sup>32</sup> <http://www.ivote.ge/index.php/en/2010-04-22-18-45-24/299-2010-05-24-10-57-56.html> ;  
<http://humanrightsgo.org/rss/index.php?a=more&r=news&id=7873&lang=ge>

<sup>33</sup> <http://www.humanrights.ge/index.php?a=news&id=7867&lang=ge>

განცხადებით, ბათუმში არსებული სტამბები წინასაარჩევნო მასალების დაბეჭდვაზე უარს აცხადებდნენ, რადგანაც მათ ოპოზიციის საარჩევნო პროგრამებისა და პლაკატების დაბეჭდვა აკრძალული ქონდათ. ხალხის პარტიის რეგიონული თავმჯდომარე აღნიშნული სტამბების დასახელებისაგან თავს მათივე უსაფრთხოების მიზნით იკავებდა<sup>34</sup>.

- წინასაარჩევნო მასალა გახლდათ, დიღმის ტრასაზე „ეროვნული საბჭოს“ წევრებსა და პოლიციას შორის დაპირისპირების მიზეზი. დაპირისპირების მიზეზი იმ სტამბის დალუქვა გახლდათ, რომელშიც “ეროვნულმა საბჭომ” 98 000 ფლაიერი დაიბეჭდა. ეროვნული საბჭოს განცხადებით, სტამბა დალუქული აღარ იყო და მასალების წასაღებად მივიდნენ, თუმცა შემდეგ გარკვეულმა პირებმა პოლიცია გამოიძახეს და სტამბა დალუქეს. საბჭოს წევრებმა პროტესტის ნიშნად სტამბაში შეღწევა და თავიანთი წინასაარჩევნო მასალის გამოტანა სცადეს, რის გამოც პოლიციასთან შეტაკება მოუხდათ<sup>35</sup>.
- კახეთში ოპოზიციურ პოლიტიკურ პარტიებს წინასაარჩევნო კამპანიაში ხელს უშლიან. ყვარელში „ალიანსი საქართველოსთვის“ კუთვნილი საარჩევნო ბანერი გაანადგურეს, თელავში კი ალიანსის სააგიტაციო მასალას „ნაციონალური მოძრაობის“ პლაკატები გადააკრეს. გურჯაანის საარჩევნო ოლქში „თორთლაძე - დემოკრატიული პარტიიდან“ საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატი ლევან ჩოლოყაშვილი აცხადებს, რომ მას ექიმებთან და მასწავლებლებთან შეხვედრის საშუალება არ მისცეს<sup>36</sup>.
- დაუდგენელმა პირებმა, ყვარელში, „ალიანსი საქართველოსთვის“ საარჩევნო შტაბის კუთვნილი ბანერი 21 მაისს ღამით გაანადგურეს. „კიბეს თუ არ გამოიყენებდნენ, ისე ბანერს ვერც ჩამოჭრიდნენ. შტაბის ოფისი ყვარლის ცენტრში მდებარეობს, ქუჩა განათებულია, ხალხი ცხოვრობს. შეუძლებელია, ბანერი ისე ჩამოეჭრათ, რომ ვერავის დაენახა“- აღნიშნავს „ალიანსი საქართველოსთვის“ ყვარლის საარჩევნო შტაბის უფროსი ნუგზარ ღონიაშვილი. მომხდართან დაკავშირებით შს ყვარლის

<sup>34</sup> <http://24saati.ge/index.php/category/news/2010-03-31/4926> ;  
<http://www.humanrights.ge/new/index.php?a=main&pid=11588&lang=geo>

<sup>35</sup> <http://www.humanrights.ge/index.php?a=article&id=4865&lang=ge>

<sup>36</sup> <http://www.humanrights.ge/index.php?a=article&id=5045&lang=ge>

რაიონულ სამმართველოში გამოძიება მიმდინარეობს. სისხლის სამართლის საქმე ქონების დაზიანების მუხლით არის აღძრული<sup>37</sup>.

- 21 მაისს, ღამით, თელავში, უნივერსიტეტის და საავადმყოფოს ტერიტორიაზე „ალიანსი საქართველოსთვის“ საარჩევნო პლაკატებს „ნაციონალური მოძრაობის“ პლაკატები გადააკრეს. „საარჩევნო პლაკატების დამზადება და მათი გაკვრა მნიშვნელოვან ფინანსურ და ადამინურ რესურსებს მოითხოვს. ჩვენს საარჩევნო ბლოკს შეზღუდული ფინანსური შესაძლებლობები აქვს, რის გამოც პლაკატები დიდი რაოდენობით ისედაც ვერ დავებჭედეთ. რაც დავებჭედეთ და გავაკარით, მას კი აზიანებენ და წინასაარჩევნო კამპანიაში ხელს გვიშლიან“ - განაცხადა „ალიანსი საქართველოსთვის“ თელავის საარჩევნო შტაბის უფროსმა ნიკა ვარდომეილმა<sup>38</sup>. „ალიანსი საქართველოსთვის“ თელავის საარჩევნო შტაბის უფროსმა რეაგირებისათვის თელავის საოლქო საარჩევნო კომისიას და ცესკო-ს საინფორმაციო საშუალებებით მიმართა, თუმცა უშედეგოდ.

ოპოზიციური საარჩევნო ბლოკისთვის წინასაარჩევნო კამპანიაში ხელის შეშლას უარყოფს „ნაციონალური მოძრაობის“ თელავის საარჩევნო შტაბის წარმომადგენელი ზურაბ ბუცხრიკიძე. მისი თქმით, „ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტებს, რომლებიც სააგიტაციო მასალებს ავრცელებენ, არანაირი მითითება არ მიუღიათ, რომ პლაკატები ოპოზიციური პარტიების სააგიტაციო მასალებს გადააკრან<sup>39</sup>. „ეს შეიძლება რომელიმე ახალგაზრდის პიროვნული ინიციატივაა. მეტსაც გეტყვით, დღემდე ჩვენ რაც გავაკარით საარჩევნო პლაკატები, აბსოლუტურად ყველა ჩამოხიეს, მაგრამ არ გვქონია პრეტენზია ოპოზიციონერებთან, რომ ეს მაინცდამაინც მათი გაკეთებულია“, - აღნიშნა ბუცხრიკიძემ<sup>40</sup>.

- წინასაარჩევნო კამპანიაში ხელის შეშლის ფაქტებზე საუბრობდა გურჯაანის საარჩევნო ოლქში საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი ლევან ჩოლოყაშვილი. დეპუტატობის კანდიდატის განმარტებით, გურჯაანის რაიონული საავადმყოფოს დირექტორმა გელა ორველაშვილმა და

<sup>37</sup> <http://www.humanrights.ge/index.php?a=article&id=5045&lang=ge> ;  
<http://www.humanrights.ge/index.php?a=news&id=7873&lang=ge>

<sup>38</sup> <http://www.ivote.ge/index.php/ka/2010-04-22-18-45-24/297-2010-05-24-10-55-05.html>

<sup>39</sup> <http://www.humanrights.ge/index.php?a=article&id=5045&lang=ge>

<sup>40</sup> <http://www.humanrights.ge/index.php?a=article&id=5045&lang=ge> ; [http://regionsvote.blogspot.com/2010/05/blog-post\\_6704.html](http://regionsvote.blogspot.com/2010/05/blog-post_6704.html)

პოლიკლინიკის დირექტორმა სოფიო ქუმსიაშვილმა მას ექიმებთან შეხვედრის საშუალება არ მისცეს. ამასთან, ჩოლოყაშვილის თქმით, ის არც გურჯაანის გიმნაზიაში შეუშვეს<sup>41</sup>. „პროფესიით ექიმი ვარ და განსაკუთრებით ჩემს კოლეგებთან გასაუბრება მაინტერესებდა. ექიმებთან შეხვედრა დაგეგმილი მქონდა არასამუშაო საათებში, მაგრამ სამედიცინო დაწესებულებების ხელმძღვანელებმა უარი განაცხადეს. თქვენ წახვალთ, ჩვენ დავრჩებით და პრობლემები არ გვინდაო. გურჯაანის გიმნაზიაში კი პედაგოგებთან შესახვედრად დიდ შესვენებაზე მივედი, მაგრამ მოვარდა დირექტორის მოადგილე ქალბატონი, ატეხა წიოკი და მასწავლებლებთან შეხვედრის საშუალება არ მომცა. ეს არის არანორმალური სიტუაცია“, - განაცხადა ლევან ჩოლოყაშვილმა, რომელიც 2010 წლის 30 მაისის შუალედურ საპარლამენტო არჩევნებში კენჭს „თორთლაძე - დემოკრატიული პარტიიდან“ იყრის<sup>42</sup>.

## VIII არჩევნების გაყალბების მეთოდები

**საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 164<sup>3</sup>-ე მუხლით ისჯება, არჩევნებთან დაკავშირებული დოკუმენტების: საარჩევნო სიების, ოქმების, ბიულეტენების, სარეგისტრაციო ქურნალების და საკონტროლო ფურცლების ბანხრახ ბაჟალბება.**

წინასაარჩევნო პერიოდში გამოვლენილ იქნა გარკვეული ტიპის დარღვევები, რომლებიც არჩევნების შედეგების გაყალბებას უწყობს ხელს. კერძოდ:

- „სამართლიანი საქართველოსთვის“ ოზურგეთის რაიონული ორგანიზაციის განცხადებით, საარჩევნო უბნებში გამოკრული სიები რეალობას არ შეესაბამებოდა. მათივე ინფორმაციით, 1990 წლის არჩევნებზე ოზურგეთში 61 280 ამომრჩეველი გახლდათ. ცესკოდან ჩამოსული სიის მიხედვით კი, მუნიციპალიტეტში ამომრჩეველთა რაოდენობა 65 421-მდე გაიზარდა. ეს მაშინ, როდესაც „სამართლიანი საქართველოსთვის“ მიერ ჩატარებული „კარდაკარის“ მონაცემებით, მუნიციპალიტეტში 1800 სახლი მიტოვებულია<sup>43</sup>.

<sup>41</sup> <http://www.ivote.ge/index.php/ka/2010-04-22-18-45-24/298-2010-05-24-10-56-12.html> ;  
<http://www.humanrights.ge/index.php?a=article&id=5045&lang=ge>

<sup>42</sup> <http://www.ivote.ge/index.php/ka/2010-04-22-18-45-24/298-2010-05-24-10-56-12.html> ;  
<http://www.humanrights.ge/index.php?a=article&id=5045&lang=ge>

<sup>43</sup> <http://www.humanrights.ge/index.php?a=news&id=7775&lang=ge>

➤ ახმეტის საოლქო-საარჩევნო კომისიაში ცესკოს ტრენერი ალექსანდრე ჯუგაშვილი საუბნო-საარჩევნო კომისიების წევრებს ტრენინგზე, კენჭისყრის პროცესის პროცედურებს არასწორედ განუმარტავდა. პროცედურის არასწორი განმარტება მიზნად ისახავდა ნაციონალური მოზრობის ინტერესების დაკმაყოფილებას. ტრენერის განმარტებით: თუ საარჩევნო ყუთში ზედმეტი ბიულეტენი აღმოჩნდებოდა, სიაშიც იმდენივე ხელმოწერა უნდა გაეკეთებინათ, ამომრჩეველს შეეძლო, ხმა ღიად, კენჭისყრის კაბინაში შეუსვლელად განეხორციელებინა და სხვა. ამასთან, ჯუგაშვილი საუბრის დროს იყენებდა ტერმინს „ჩვენ“ და ღიად გამოხატავდა, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელი იყო<sup>44</sup>.

➤ „ალიანსი საქართველოსთვის“ გავრცელებული ინფორმაციით, 30 მაისის თვითმმართველობის არჩევნებისათვის, 29 აპრილს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ შალვა ჯანაშვილმა ვაკის მე-2 საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს, კონსტანტინე ამირეჯიბს მიმართა წერილით (წერილის ნომერი 5/17–1126). იგი წერდა, რომ კანონის მოთხოვნის თანახმად, აწვდის იმ სამხედრო მოსამსახურეთა სიას, რომლებიც შესაბამისი დისლოკაციის ადგილზე 2010 წლის 30 მაისის არჩევნების დღისთვის მუდმივი წესით ერთი წლით ან ერთ წელზე მეტი ვადით იქნებოდნენ განთავსებულნი. შესაბამისი დისლოკაციის ადგილს, ამ საარჩევნო ოლქის საზღვრებში, წარმოადგენდა ყველასათვის კარგად ნაცნობი „მოდულის“ შენობას, რომელიც, თავის მხრივ, შსს–ს ექვემდებარება.

სხვადასხვა არჩევნების დროს ამ ე.წ. დახურულ უბანზე სხვადასხვა ოდენობის ამომრჩეველი იყო მიწერილი: 2004 წელს ეს რიცხვი 517 გახლდათ, 2008 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს – 1 257, წელს კი ეს რიცხვი 916 – ით გაიზარდა და შსს მინისტრის მოადგილის წერილზე დაყრდნობით ახლა 2 173 – ს შეადგენს. აქ აღსანიშნავია, რომ მუდმივი წესით ერთსა და იმავე ადგილას განთავსება, ყაზარმულ რეჟიმში ყოფნას ნიშნავს, რაც გულისხმობს, რომ ეს ადამიანები, 2 173 სამხედრო მოსამსახურე მითითებულ ადგილზე უნდა ცხოვრობდნენ, ამისთვის საჭირო ყველა პირობის გათვალისწინებით: ძილი, კვება და შესაბამისი ცხოვრებისეული პირობებით უზრუნველყოფა, სამხედრო მოსამსახურეთა ყოველივე ზემოაღნიშნული მომსახურებით უზრუნველყოფა კი, მითითებულ ადგილზე ფიზიკურად შეუძლებელი გახლდათ. აღნიშნულს გამოეხმაურნენ არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით ზუსტად იგივე პრობლემებს და საექვო გარემოებებს აყენებდნენ<sup>45</sup>.

<sup>44</sup> <http://www.ivote.ge/index.php/ka/2010-04-22-18-45-24/278--a.html>

<sup>45</sup> <http://www.humanrights.ge/index.php?a=news&id=7850&lang=ge> ; <http://www.babajana.com/index.php?newsid=2437>

- „ეროვნული ფორუმის“ ერთ-ერთი ლიდერი 2010 წლის ერთიან საარჩევნო სიაში ამომრჩეველთა რიცხვის თითქმის მილიონამდე გაზრდას აღნიშნავდა. მისი თქმით, 3 მლნ 600 ათასი ამომრჩეველი, რომელიც ამომრჩეველთა სიაში ირიცხება, არარეალური გახლდათ, რადგან იგივე რაოდენობის მოქალაქეებმა 1990 წელს ჩატარებულ არჩევნებში მიიღეს მონაწილეობა, რის შემდეგაც დღემდე ქვეყნის მოსახლეობა ერთი მილიონით შემცირდა. მის თქმის საფუძველს საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალური მონაცემები იძლევა. კერძოდ, 3 მილიონ 600 ათასამდე ამომრჩეველი, რომელიც ცესკო-ს მონაცემებით, დღეს საქართველოში არსებობს, 1990 წელს ფიქსირდებოდა, როდესაც საქართველოში 5 მილიონ 500 ათასამდე ადამიანი ცხოვრობდა და არჩევნებში აფხაზეთსა და ოსეთში მაცხოვრებლებიც იღებდნენ მონაწილეობას. ცესკოს მონაცემებით, გამოდის, რომ საქართველოში 88% ამომრჩეველია, როცა ნებისმიერ ნორმალურ ქვეყანაში მოსახლეობის 65%, უკიდურეს შემთხვევაში კი მხოლოდ 75% შეიძლება იყოს ამომრჩეველი<sup>46</sup>.
- ახმეტის საინფორმაციო ცენტრის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, რუსთავში საოლქო-საარჩევნო კომისიის აპრილის მაჩვენებლებით, ამომრჩევლების რაოდენობა 98 786 იყო. ერთ თვეში კი რაოდენობა 105 990-მდე გაიზარდა. „ამომრჩეველთა რაოდენობა შვიდი ათასამდეა გაზრდილი. აღნიშნულის შესახებ №20 რუსთავის საოლქო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი სოსო შველიძე ამ ფაქტს უცხოეთში მყოფი მოქალაქეების სიაში დატოვებით ხსნიდა. „თავიდან იყო საუბარი, რომ საზღვარგარეთ მყოფი ამომრჩევლები სიიდან უნდა ამოგვეღო, მიუხედავად იმისა, რომ აქ იყვნენ რეგისტრირებულნი. საბოლოოდ ცესკომ მიიღო, ჩემი აზრით, სამართლიანი გადაწყვეტილება და ისინი დატოვა სიაში. სწორედ აღნიშნულმა გამოიწვია ასეთი რაოდენობის ამომრჩეველი<sup>47</sup>.
- პარტია „თავისუფლების“ რუსთავის ოფისის ხელმძღვანელი, ირაკლი ქაჯაია პოლიციისა და სავაჭრო ობიექტის – „უნივერმალის“ შენობაში ჩაწერილი ამომრჩევლების შესახებ საუბრობდა. „ჩვენ ამ ამომრჩევლების შესახებ საარჩევნო კომისიას შევატყობინეთ. გვითხრეს - დიახ, დარღვევაა, მაგრამ ეს ხალხი ნამდვილად ცხოვრობს რუსთავშიო. მოძებნეთ ისინი და სხვა პირადობის მოწმობებს გავუკეთებთ რეალური საცხოვრებელი ადგილის მითითებებითო“, – ამბობს ქაჯაია.

<sup>46</sup> <http://ick.ge/ka/rubrics/main-news/61-tnews/799-2010-03-31-12-09-43.html>

<sup>47</sup> <http://www.humanrights.ge/new/index.php?a=text&pid=8244&lang=geo>  
<http://www.humanrights.ge/index.php?a=article&id=4853&lang=ge>

საარჩევნო კომისიაში ამ ფაქტს მართლაც არ უარყოფდნენ, თუმცა აცხადებდნენ, რომ არა აქვთ იურიდიული უფლება, რომელიმე ამომრჩეველი აიძულონ, ზუსტი მისამართი ჰქონდეს პირადობის დამადასტურებელ საბუთში. „ამ საკითხში მოქალაქის აქტიურობაა მთავარი. პოლიციის შენობაში, რომელზეც თქვენ საუბრობთ, ნამდვილად არიან მიწერილი მოქალაქეები, მაგრამ ეს იმიტომ მოხდა, რომ ეს შენობა წინათ საერთო საცხოვრებელი იყო. ახლა ეს ხალხი რუსთავის ამა თუ იმ უბანში ცხოვრობს. მათ თავად უნდა გამოიჩინონ მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა და ზუსტ საცხოვრებელ მისამართზე დარეგისტრირდნენ“, - ამბობს საოლქო საარჩევნო კომისიის თავჯდომარე.

რუსთავში არსებობს ბინები, სადაც წარმოუდგენლად დიდი რაოდენობის ამომრჩეველია ჩაწერილი. მაგალითად რუსთავის ლესელიძის ქუჩის 52 ნომერში ბინა 17-ში 38 ადამიანია ჩაწერილი. რუსთავის სააკადმის ქუჩაზეც 11 სულიანზე ნაკლები ოჯახი არ არის დაფიქსირებული“, - ამბობს ქრისტიან-დემოკრატიული პარტიის რუსთავის ოფისის ხელმძღვანელი ალექსანდრე ახვლედიანი. არასრულად მიწერილ მისამართებზე საარჩევნო კომისიაში აცხადებენ, რომ ამაზე პასუხისმგებელი იუსტიციის სამინისტროა, საიდანაც ამომრჩეველთა მონაცემთა ბაზა გადმოეცათ<sup>47</sup>.

## და სხვა

**საბიუჯეტო თანხების ზრდა** - ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების წინ ცენტრალური ბიუჯეტიდან თვითმმართველობებისთვის გამოყოფილი თანხები უპრეცედენტოდ გაიზარდა. აღნიშნულს ადასტურებს „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ ანგარიში, რომელიც წინასაარჩევნო კამპანიის მიზნებისათვის ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებას ეხება. ანგარიშის მიხედვით, საგრძნობლად გაიზარდა თბილისის მერიის მუშა-მოსამსახურეთა რიცხოვნობა და რეგიონების გუბერნატორების ადმინისტრაციების აპარატებში დასაქმებულთა რაოდენობა.

თბილისის 2010 წლის თავდაპირველი, 2009 წლის 28 დეკემბერს დამტკიცებული ბიუჯეტის ხარჯები უფრო ნაკლები იყო. 2010 წლის 22 თებერვალს ბიუჯეტში ცვლილებები შევიდა და ხარჯები 58,1 მლნ. ლარით გაიზარდა. ამ ცვლილებების საფუძველზე მერიის მუშა-მოსამსახურეთა რიცხოვნობა 410-ით გაიზარდა, ხოლო სახელფასო ფონდი - 5,5 მლნ. ლარით. ასევე გაიზარდა საქონლისა და მომსახურების

შესაძენად გასაწევი ხარჯების მოცულობა 34,2 მლნ. ლარით და სოციალური უზრუნველყოფა - 63,1 მლნ. ლარით<sup>48</sup>.

**თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფი - 2008 წლის რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნების წინ შეიქმნა „თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფი“. მან მუშაობა 2008 წლის რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნების პერიოდშიც გააგრძელა.**

2010 წლის 13 აპრილს, ზემოაღნიშნული სამუშაო ჯგუფი კვლავაც შეიქმნა. რომლის მიზანი, სხვადასხვა უწყებებს შორის კოორდინაციის გაზრდის გზით, 30 მაისის ადგილობრივი თვითმართველობის არჩევნების მაქსიმალურად გამჭვირვალე და სამართლიან გარემოში ჩატარების ხელშეწყობა გახლდათ.

უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში შედიან შინაგან საქმეთა, საგარეო საქმეთა, იუსტიციის, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროების და ეროვნული უშიშროების საბჭოს მაღალჩინოსნები.

უწყებათაშორისი ჯგუფს დაევალა ადგილობრივ და საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციებთან, დიპლომატიურ წარმომადგენლობებთან და საარჩევნო პროცესში ჩართულ სხვა მხარეებთან აქტიური და კონსტრუქციული თანამშრომლობა.

სამწუხაროდ, უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის შექმნის დადებით ტენდენციას, ასეთივე დადებითი შეფასება არ მიუღია მისი საქმიანობის შეფასებისას. პარტნიორი არასამთავრობო ორგანიზაციების შეფასებებზე დაყრდნობით უწყებათაშორისმა ჯგუფმა გაცხადებულ მიზანს სრულად ვერ მიაღწია. დაგვიანებული, ზოგჯერ კი არაადეკვატური რეაგირების გამო მან ძალადობისგან თავისუფალი წინასაარჩევნო გარემო ვერ შექმნა. სამწუხაროდ, ვერც არჩევნებში მონაწილე პარტიებისა და კანდიდატების თანაბარ პირობებში ჩაყენებას შეუწყო ხელი<sup>49</sup>.

---


<sup>48</sup> <http://www.humanrights.ge/rss/index.php?a=more&r=analytical&id=4835&lang=ge>

<sup>49</sup> [http://www.gyla.ge/index.php?option=com\\_content&view=article&id=748%3A2010-06-15-12-49-52&catid=1%3Alatest-news&Itemid=177&lang=ka](http://www.gyla.ge/index.php?option=com_content&view=article&id=748%3A2010-06-15-12-49-52&catid=1%3Alatest-news&Itemid=177&lang=ka)

(დანართი #1)

## წინასაარჩევნო დარღვევები და მათი რაოდენობა

- ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება;
- იძულების ფაქტები ამომრჩევლებზე;
- ბიზნესმენტათვის ფულის გამოძალვის ფაქტები;
- ზეწოლა ჟურნალისტებზე;
- ზეწოლა პოლიტიკურ პარტიებზე;
- საარჩევნო-სააგიტაციო მასალის განადგურება;
- არაუფლებამოსილი პირების მონაწილეობა წინასაარჩევნო კამპანიაში;
- არჩევნების გაყალბების მეთოდები.



2010 წლის 30 მაისის ადგილობრივი თვითმართვლობის წარმომადგენლობითი ორგანოს –  
საკრებულოს, საქართველოს დედაქალაქის – ქ. თბილისის მერიისა და საქართველოს  
პარლამენტის შუალედური არჩევნების

---

## მ ო ნ ი ტ ო რ ი ნ გ ი

2010 წელი

ადამიანის უფლებათა ცენტრი **“ადგილობრივი, სამართლიანი არჩევნების ხელშეწყობა სამეგრელო ზემო-სვანეთსა და კახეთის რეგიონში”** პროექტის ფარგლებში, 2010 წლის 30 მაისს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების პროცესის მიმდინარეობას აკვირდებოდა **სამეგრელოს** (ანაკლიის, განმუხურის, კოკი-ხურჩას, ორსანტიას, კახათის, ქვემო კახათის, შამგონას, რუხის, ჩხორია-ტყაიას, ფახულანის, ჯვრის, წალენჯიხის, ზუგდიდის, სენაკის, ხობისა და ფოთის საარჩევნო უბნებში) **ზემო-სვანეთისა** (მესტიის, ლემსიასა და სოლის საარჩევნო უბნებში და საოლქო საარჩევნო კომისიაში) და **კახეთის** (საგარეჯოს, ახმეტის, თელავის, გურჯაანის, ლაგოდეხის, დედოფლისწყაროს, ყვარელისა და სიღნაღის საარჩევნო უბნებში) რეგიონში.

არჩევნების პროცესის დაკვირვება და გაშუქება განახორციელეს ადამიანის უფლებათა ცენტრის **(შიდა ქართლის, აჭარის, სამეგრელოს და კახეთის)** რეგიონალურმა კოორდინატორებმა და ამავე ცენტრის ვებ პორტალის **(ზესტაფონის, ქუთაისის, ხონი-სამტრედიის, მესხეთის, გურიისა და ქვემო ქართლის)** კორესპონდენტებმა.

2010 წლის 30 მაისს, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე დაკვირვებისას, ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებლების მიერ გამოვლენილ იქნა მთელი რიგი კანონდარღვევები, როგორც გახლდათ:

**1. საუბნო საარჩევნო კომისიებში საარჩევნო ინჟინტარის უხარისხო და არასაკმარისი რაოდენობა:**

- **ფარული კენჭისყრის კაბინების სიმცირე.** კერძოდ: განმუხურის #38-ე საარჩევნო უბანზე 1319 ამომრჩეველზე გათვალისწინებული გახლდათ ორი კაბინა; ზუგდიდის #101-ე საარჩევნო უბანზე 889 ამომრჩეველზე გათვალისწინებული გახლდათ ერთ კაბინა. ასევე, აღსანიშნავი გახლდათ **ფარული კენჭისყრის კაბინების მთლიანობის დარღვევა**, რაც გამჭვირვალეს ხდიდა ამომრჩევლის არჩევანს. მაგ: კახეთის ჟალურის #1 საარჩევნო უბანზე, ოთხ ფარულ კენჭისყრის კაბინას გაფარებული ქონდა ერთი საერთო ფარდა; ზესტაფონის პირველი სვრის #26-ე საარჩევნო უბანზე ფარული კენჭისყრის კაბინები იმდენად გამჭვირვალე გახლდათ, რომ საარჩევნო უბანზე მყოფ ნებისმიერ ადამიანს თავისუფლად შეეძლო, კაბინაში შესული ამომრჩევლის არჩევანის დანახვა. აღნიშნული საქართველოს საარჩევნო კოდექსის 49-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის დარღვევას წარმოადგენს.
- **მარკირების შესამოწმებელი სპეციალური აპარატების გაუმართავი მუშაობა** - რომელსაც მასიური, სისტემატური სახე ქონდა და კენჭისყრის პროცესის ხშირ შეფერხებას იწვევდა

(ზუგდიდის #101-ე, ზუგდიდის #52-ე კახათის #50-ე, კახათის #49-ე, კახათის #92-ე, რუხის #64-ე, საგარეჯო, ყარაჯალის #39-ე, თულარის 48-ე, ზესტააფონის პირველი სვირის #26-ე, ფოთის #30-ე, ფოთის #10-ე, ფოთის #28-ე, მარნეულის #5-ე, საგარეჯო, დუზარმას #40-ე საარჩევნო უბნები). აღნიშნული წარმოადგენს საქართველოს საარჩევნო კოდექსის 52-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ე,ა“ ქვეპუნქტის, 56-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 58-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის დარღვევას.

- **საარჩევნო დოკუმენტაციის არქონა** – საარჩევნო უბნებზე თვალსაჩინო ადგილას არ იქნა გამოკრული ამომრჩეველთა ერთიანი და სპეციალური სიები, საარჩევნო ბიულეტენის შევსების წესი, საარჩევნო სუბიექტთა სიის, საარჩევნო უბნის საზღვრებისა და საარჩევნო ბიულეტენების შევსების შესახებ ინსტრუქციები (კარდენახის #33 უბანი, ალვანის #7, ყარაჯალას #39, ანაკლიის #32, კახათის #50, ზუგდიდის #101-ე, საგარეჯოს #46, სენაკის #13 საარჩევნო უბნები). აღნიშნული არღვევს საქართველოს საარჩევნო კოდექსის 49-ე მუხლის მე-6 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის მოთხოვნებს.

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეთა განცხადებით, საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ სრულად არ იქნა მიწოდებული საარჩევნო ინვენტარი და დოკუმენტაცია, რაც საქართველოს საარჩევნო კოდექსის 49-მუხლის მე-6-ე ნაწილის „ა“ და „დ“ პუნქტებისა და 56-მუხლის მე-2-ე და მე-3-ე ნაწილის დარღვევა გახლავთ.

## **2. საქართველოს საარჩევნო კოდექსის მოთხოვნათა დარღვევით მოწყობილი საარჩევნო უბნები:**

კენჭისყრის შენობაში დამოუკიდებელად, სხვადასხვა ადგილას იქნა განთავსებული სარეგისტრაციო მაგიდები, ფარული კენჭისყრის კაბინები და საარჩევნო ყუთები. აღნიშნული კანონდარღვევა საქართველოს საარჩევნო კოდექსის 49-ე მუხლის მოთხოვნების უგულვებელყოფაა, რომელიც დამკვირვებელს პრობლემას უქმნის, უწყვეტ რეჟიმში აკვირდებოდეს საარჩევნო უბანზე მიმდინარე მოვლენებს. აღნიშნული ფიქსირდებოდა როგორც სამეგრელოს, ასევე კახეთის რეგიონის რიგ საარჩევნო უბნებზე.

## **3. საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა მიერ, კანონით მინიჭებულ უფლებამოსილებათა არასწორი და დაუღებარი განხორციელება:**

- ხაზგასასმელია, მონიტორინგში აღნიშნული რეგიონების, საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეთა უმრავლესობის არაკომპეტენტურობა და საარჩევნო კოდექსით მათთვის

**მინიჭებულ უფლება-მოვალეობათა განუხორციელებლობა.** მაგ: ზუგდიდის #67 საარჩევნო ოლქის, განმუხურის #38 საარჩევნო უბანზე, იქ სადაც კომისიის თავმჯდომარე სრულად ვერ აკონტროლებდა სიტუაციას, კომისიის ერთ-ერთმა წევრმა, ერთდროულად მოშალა ძირითადი და გადასატანი საარჩევნო ყუთის მთლიანობა და ბიულეტენები ცალ-ცალკე დათვლის გარეშე ერთმანეთს შეურია; რუხის 64-ე საარჩევნო უბანზე კომისიის თავმჯდომარემ, ყველა დონის საარჩევნო კომისიაში დაკვირვების უფლების მქონე დამკვირვებელი საარჩევნო უბანზე არ დაუშვა. მიზეზად სამკერდე ნიშანში კონკრეტული, იმ უბნის ნომრის არარსებობა დაასახელა; გურჯანის #12 ოლქის, კარდენახის #33 საარჩევნო უბანის კომისიის თავმჯდომარე ერთდროულად, თავისუფლად უშვებდა ორ და მეტ ამომრჩეველს ფარული კენჭისყრის კაბინაში; საგარეჯოს რაიონის მე-11 ოლქის, ზემო ლამბალოს 36-ე საარჩევნო უბანის კომისიის თავმჯდომარემ არ იცოდა მისი უფლება მოვალეობები, რომლის მიზეზადაც ენობრივი ბარიერის პრობლემას ასახელებდა. აღნიშნული გამოიხატა საქართველოს საარჩევნო კოდექსის 39-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი უფლებამოსილებების გადაჭარბებით ან მათთვის თავის არიდებით.

- **საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა არაკომპეტენტურობა და საქმისადმი დაუდევარი დამოკიდებულება.** მაგ: ქობულეთის #29-ე უბანზე კომისიის მამაკაცი წევრები იმყოფებოდნენ ნასვამ მდგომარეობაში; საგარეჯოს #40-ე საარჩევნო უბანზე კომისიის წევრთა საკვების მიღების გამო ფაქტობრივად შეწყდა კენჭისყრის პროცესი; ზუგდიდის, განმუხურის #67 საარჩევნო უბანზე კენჭისყრის დასრულებისა და საარჩევნო უბნის დახურვის შემდგომ, კომისიის წევრმა ერთდროულად დაარღვია გადასატანი და ძირითადი საარჩევნო ყუთის მთლიანობა, კონვერტები გადმოყარა და შეურია ერთმანეთს; გორის სოფ. ვარიანის #40 საარჩევნო უბანზე, ხმის დათვლის პროცესში გამოვლინდა სიებში არსებული ამომრჩევლის ხელმოწერების ნაკლებობა და საარჩევნო ყუთებში არსებული ბიულეტენების მეტობა. შემაჯამებელ ოქმში დაბალანსებული ინფორმაციის შეტანის გამო, საუბნო საარჩევნო კომისია ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელს საჩივრის დაწერის სანაცვლოდ გარიგებას სთავაზობდა და სხვა. აღნიშნული იწვევს საქართველოს საარჩევნო კოდექსის 38-ე მუხლით დადგენილი უფლებამოსილებების გადაჭარბებით ან მათთვის თავის არიდებით, შესაბამის დისციპლინარულ პასუხისმგებლობას ამავე კოდექსის 371-ე მუხლის თანხმად.

- **საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანთა არაკომპეტენტურობა და მათთვის დაკისრებულ მოვალეობათა შეუსრულებლობა:**

ჩანაწერთა წიგნის არასწორი წარმოება ან წარმოების უგულვებელყოფა (ზესტაფონის პირველი სვირის #26-ე, თელავი ყარაჯალას #39-ე საარჩევნო უბნები, საგარეჯოს რაიონის რიგი უბნები). აღნიშნული იწვევს საქართველოს საარჩევნო კოდექსის 53-ე მუხლის დარღვევას;

საჩივრებისა და შენიშვნების, ჩანაწერთა წიგნში დაფიქსირების ხელშეშლა. (კახეთის, ზემო ლამბალოს 36-ე, კაბალის #18, უზუნთალას #21 საარჩევნო უბნები). აღნიშნული იწვევს საქართველოს საარჩევნო კოდექსის 53-ე მუხლის მე-9 ნაწილისა და 126<sup>29</sup>-ე მუხლის მოთხოვნების დაღვევას და შესაბამისი პირის დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით.

საჩივრების რეგისტრაციაში გატარებისა და შესაბამისი ცნობის გაცემის წესის უხეში დარღვევა (მაგ: ზუგდიდის რუხის #64 საარჩევნო უბანი, კახეთის რეგიონის საუბნო საარჩევნო კომისიების უმრავლესობა). აღნიშნული საქართველოს საარჩევნო კოდექსის 64-ე მუხლის პირველი ნაწილის დარღვევას წარმოადგენს და 39-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტითა და 126<sup>29</sup>-ე მუხლით დადგენილ პასუხისმგებლობას, კერძოდ ჯარიმის სახით 500 ლარის გადახდევინებას იწვევს.

#### **4. საარჩევნო უბნის ბახსნიდან, კენჭისყრის პროცესის დაწყებამდე ჩასატარებელ პროცედურათა დარღვევები:**

- კომისიის წევრთა წილისყრით ფუნქციათა განაწილების უგულვებელყოფა (საგარეჯო ზემო ლამბალოს #36, ლაგოდეხი კაბალის #18, კახეთის, ეთნიკური უმცირესობებით ჩასახლებულ რაიონებში არსებული საარჩევნო უბნები) რაც საარჩევნო კოდექსის 52-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის“ დარღვევა;
- წილისყრით გამოვლენილ ფუნქციათა ხშირი და ჩანაწერთა წიგნში დაუფიქსირებელი ცვლა (ზუგდიდი, განმუხურის #38, ზესტაფონის პირველი სვირის #26, ფოთის #24, ფოთის #4, ქობულეთის #29 საარჩევნო უბნები) რაც საარჩევნო კოდექსის 52-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტის დარღვევაა.
- კენჭისყრის დღეს საარჩევნო უბანზე სამკერდე ნიშნისა და უბანზე ყოფნის უფლების არმქონე პირთა არსებობა (ზუგდიდი, განმუხურის #38, ზუგდიდის #64, ზესტაფონი, მეორე სვირის #24, ზესტაფონის #9, საგარეჯო ზემო ლამბალოს #36, ინგირი #94, შამგონას #67 საარჩევნო უბანი) რაც საქართველოს საარჩევნო კოდექსის 67-ე მუხლის მე-2 ნაწილის, ასევე კოდექსის 39-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ1“ ქვეპუნქტისა და 30-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის დარღვევას წარმოადგენს.

#### **5. კენჭისყრის პროცედურული დარღვევები:**

- **მარკირების არაჯეროვანი შემოწმება** (ზუგდიდის #101-ე, ზუგდიდის #52-ე კახათის #50-ე, კახათის #49-ე, კახათის #92-ე, რუხის #64-ე, საგარეჯო ყარაჯალის #39-ე, თულარის 48-ე, ზესტააფონის პირველი სვირის #26-ე, ფოთის #30-ე, ფოთის #10-ე, ფოთის #28-ე, მარნეულის #5-ე, საგარეჯოს დუზარმას #40-ე საარჩევნო უბნები), რითაც დაირღვა საქართველოს საარჩევნო კოდექსის 56-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების მოთხოვნები.
- **მარკირების პროცესის უგულვებელყოფა** (გურჯაანი, კარდანახის #33-ე, ფოთის #24-ე, ფოთის #5-ე, საგარეჯო დუზარმას #40-ე საარჩევნო უბნები). რაც წარმოადგენს საქართველოს საარჩევნო კოდექსის 52-ე მუხლის მე-3 ნაწილის “ე.ა” ქვეპუნქტის, 56-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 58-ე მუხლის მე-2 ნაწილის “ა” ქვეპუნქტის დარღვევას.
- **საარჩევნო ყუთის ლუქების არასწორი გამოყენება** (მესტიის #1 საარჩევნო უბანი), რითაც დაირღვა საქართველოს საარჩევნო კოდექსის 52-ე მუხლის მე-6 ნაწილის “გ” ქვეპუნქტი, 58-ე მუხლის მე-2 ნაწილის “თ” ქვეპუნქტი და 59-ე მუხლის მე-11 ნაწილი.
- **უცხო პირების მიერ, ფარული კენჭისყრის კაბინაში შესულ ამომრჩეველთა დახმარება** (ზუგდიდი, განმუხურის #38-ე საარჩევნო უბანი, კახეთის განსაკუთრებით საგარეჯოს საარჩევნო უბნების უმრავლესობა) საქართველოს საარჩევნო კოდექსის 58-ე მუხლის მე-3 ნაწილის ჩამონათვალის დარღვევით, რაც ამასთანავე იწვევს სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას სისხლის სამართლის კოდექსის 164-ე მუხლის შესაბამისად, კერძოდ ისჯება ჯარიმით, ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე, ან თავისუფლების აღკვეთით 2 წლამდე ვადით.
- **ფარული კენჭისყრის კაბინაში, კანონით დადგენილ ერთზე მეტი ამომრჩევლის შესვლა** (კახეთი რეგიონი, კარდანახის #33-ე, ყარაჯალას #39-ე, თალაურის #48-ე, ყარაჯალას #39-ე საარჩევნო უბნები. ანალოგიური მცდელობები შეინიშნებოდა სამეგრელოს რეგიონშიც) რაც იწვევს საქართველოს საარჩევნო კოდექსის მე-4 და მე-8 მუხლის პირველი ნაწილის, 58-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნათა დარღვევას. რაც ასევე არის სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობის საფუძველი, სისხლის სამართლის კოდექსის 164-ე მუხლის შესაბამისად, კერძოდ ისჯება ჯარიმით, ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე, ან თავისუფლების აღკვეთით 2 წლამდე ვადით.
- **ხმის მიცემა ფარული კენჭისყრის კაბინაში შეუსვლელად ან, და კაბინიდან გამოსვლის შემდგომ ბიულეტენების დაუკეცავ მდგომარეობაში გამოტანა და ამომრჩევლის ნების ღია დაფიქსირება** (ზესტააფონის პირველი სვირის #26, მარნეულის #5, ორსანტიას #59, კახეთის რეგიონის რიგი საარჩევნო უბნები) რაც წარმოადგენს ხმის მიცემის ფარულობის დარღვევას

და წარმოადგენს საქართველოს საარჩევნო კოდექსის 58-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის დარღვევას.

- **კანონით დადგენილი დოკუმენტაციის გარეშე ხმის მიცემის პროცესში მონაწილეობა:**

პირადობის მოწმობის გარეშე ხმის მიცემა (ზუგდიდი, განმუხურის #38-ე, კახათის #50-ე, ფოთის #24-ე, საგარეჯო #46-ე, თულაურის #48-ე საარჩევნო უბნები) რაც იწვევს საქართველოს საარჩევნო კოდექსის 57-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 58-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტების დარღვევას. ასევე წარმოადგენს სისხლის სამართლებრივ დანაშაულს და ისჯება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით.

პირადობის მოწმობის გარეშე ხმის მიცემის მცდელობა (ზესტაფონის პირველი სვირის #26, საგარეჯო #46, ზუგდიდის #52, მარნეულის #5, ფოთის #30, სენაკის #42 საარჩევნო უბნები) რაც იწვევს საქართველოს საარჩევნო კოდექსის 57-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 58-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტების დარღვევას და წარმოადგენს სისხლის სამართლებრივ დანაშაულს და შესაძლებლობის შემთხვევაში უნდა დაისაჯოს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისად.

მართვის მოწმობით ხმის მიცემის მცდელობა (ზუგდიდი კომბინატის #95 საარჩევნო უბანი) რაც საქართველოს საარჩევნო კოდექსის 57-ე მუხლის პირველი ნაწილის დარღვევაა. აღნიშნული ფაქტიც შესაძლებელია გახდეს ზემოთ დასახელებული სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი.

დევენილი მოსახლეობის მიერ, დევნილობის დამადასტურებელი მოწმობის გარეშე ხმის მიცემა (ხოზის #3-ე, ფოთის #25-ე საარჩევნო უბანები) რაც საქართველოს საარჩევნო კოდექსის 57-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 58-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტების დარღვევაა.

არასრულწლოვანთა ხმის მიცემის პროცესში მონაწილეობა (ზუგდიდის #67-ე საარჩევნო ოლქის, რუხის 64-ე, საგარეჯოს, ზემო ლამბალოს 36-ე, საგარეჯოს #46, ლაგოდეხის, განჯალას #20 საარჩევნო უბანი) ხმის მიცემის მცდელობა (მარნეულის #3 საარჩევნო უბანი,) რაც წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუციის 28-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს საარჩევნო კოდექსის მე-5 მუხლის პირველი მუხლის „ა“ ქვეპუნქტის დარღვევას.

ასევე, აღინიშნებოდა ფაქტები პირადობის მოწმობის ასლით ხმის მიცემის მცდელობებისა (საგარეჯოს #11 საარჩევნო ოლქის #46 უბანი, ხოზის #28 საარჩევნო უბანი) რაც იწვევს საქართველოს საარჩევნო კოდექსის 57-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 58-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტების დარღვევას.

- **არაუფლებამოსილი პირების მიერ კანონის დარღვევით კენჭისყრაში მონაწილეობა:**

გორის სოფ. ფხვენისის საარჩევნო უბანზე, თვით დამკვირვებლებიც კი აყალბებდნენ არჩევნებს და რამოდენიმეჯერ ყრიდნენ ბიულეტენებს საარჩევნო ყუთში. ბიულეტენების ჩაყრის ფაქტი დაფიქსირდა გორის სოფ. შინდისის საარჩევნო უბანზეც. კენჭისყრის გაყალბების მცდელობა დაფიქსირდა ზუგდიდის ფაიფურის #21 საარჩევნო უბანზე, სადაც უბანზე მყოფი დამკვირვებლები, სხვადასხვა პარტიის წევრები ეცადნენ ხმის მიცემის პროცედურაში მონაწილეობას, მიუხედავად იმისა, რომ ისინი არცერთი სახის სიაში არ იყვნენ დაფიქსირებულნი. ბიულეტენების ჩაყრის ფაქტი დაფიქსირდა ლაგოდეხის ყარაჯალას #22 საარჩევნო უბანზე, სადაც კომისიის წევრის მიერ რამოდენიმეჯერ განხორციელდა ხმის მიცემის პროცედურა. აღნიშნულივე ფიქსირდებოდა საგარეჯო, ზემო ლამბალოს #36 საარჩევნო უბანზე, რაც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 16<sup>42</sup>-ე მუხლისა და საქართველოს საარჩევნო კოდექსის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის მოთხოვნათა დარღვევას წარმოადგენს.

- **გადასატანი საარჩევნო ყუთის თანმდევი დარღვევები:**

გადასატანი საარჩევნო ყუთის უბანზე დაბრუნების შემდგომ, სიის დანართში, კომისიის წევრებისა და ამომრჩევლოს ხელმოწერების არ არსებობა (ლაგოდეხის კაბალის #18-ე, ზუგდიდის კახათის #50-ე საარჩევნო უბანი). რაც წარმოადგენს საქართველოს საარჩევნო კოდექსის მე-11 მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული პროცედურების დარღვევას.

გადასატანი საარჩევნო ყუთის, საარჩევნო უბანზე დაბრუნების შემდგომ დაულუქავ მდგომარეობაში ყოფნა (ლაგოდეხი, ყარაჯალას #22, ზუგდიდი, განმუხურის #38-ე მუხლის საარჩევნო უბნები) რაც წარმოადგენს საქართველოს საარჩევნო კოდექსის 59-ე მუხლის მე-11 ნაწილის მოთხოვნათა დარღვევას.

გადასატან საარჩევნო ყუთში საკონტროლო ფურცლის არ არსებობა (ლაგოდეხი კაბალის #19-ე საარჩევნო უბანი) რაც საქართველოს საარჩევნო კოდექსის 52-ე მუხლის მე-10 ნაწილის არსებით მოთხოვნათა დარღვევას წარმოადგენს.

## 6. **ამომრჩეველთა სივრცით კონტროლის ბაჟალგაბა:**

ამომრჩეველთა ერთიან სამაგიდო სიაში, იმ ამომრჩეველების ფაქტობრივი ადგილსამყოფელის (იმყოფება საზღვარგარეთ) გრაფის გასწვრივ დაფიქსირდა ამომრჩევლისა და კომისიის

წევრთა ხელმოწერები, რაც პირდაპირ მიუთითებდა კენჭისყრის გაყალბებაზე (ლაგოდეხის კაბალის #18-ე, უზუნთალას #21 საარჩევნო უბანი) აღნიშნული წარმოადგენს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვავალისწინებულ დასჯად დანაშაულს.

ერთიან სიაში არ აღინიშნებოდა სიის დანართში გადაყვანილი ამომრჩეველი, ამიტომ ერთი და იგივე ამომრჩეველები კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდნენ როგორც ერთიანი სიით ასევე, სიის დანართითაც (ზუგდიდის #101-ე, ლაგოდეხი კაბალის #19-ე, კახათის #69 საარჩევნო უბნები) რაც წარმოადგენს საქართველოს საარჩევნო კოდექსის მე-11 მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების დარღვევას და იწვევს სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას.

**7. ხარვეზები საარჩევნო ყუთის ბახსნამდე ჩასატარებელ პროცედურათა, ხმის დათვლის და კენჭისყრის შედეგების შეჯამების პროცედურებთან დაკავშირებით**

- **ძირითადი და გადასატანი საარჩევნო ყუთის გახსნამდე ჩასატარებელ პროცედურათა დარღვევა:**

ერთიან და სპეციალურ სიებში ხელმოწერათა დათვლა და სიების დალუქვა, საქართველოს საარჩევნო კოდექსის მე-60 მუხლის მე-6 ნაწილით დადგენილი წესის დარღვევით;

გამოუყენებელი საარჩევნო ბიულეტენების დათვლა და დალუქვა. რაც გათვალისწინებულია საქართველოს საარჩევნო კოდექსის მე-60 მუხლის მე-4 და მე-5 ნაწილით;

გაფუჭებული ბიულეტენების დათვლა და დალუქვა, საქართველოს საარჩევნო კოდექსის მე-4 და მე-5 ნაწილებით დადგენილი წესების დარღვევით;

წილისყრით მთვლელთა გამოვლენა და აღნიშნული ფუნქციის უმიზეზოდ ცვლა (ზესტაფონის #51 ოლქის, პირველი სვირის #26 უბანი; ლაგოდეხის უზუნთალას #21 საარჩევნო უბანი, ზუგდიდი განმუხურის #38 საარჩევნო უბანი ქ.თბილისში მეშვიდე ოლქის მეორე საარჩევნო უბანი). რაც საქართველოს საარჩევნო კოდექსის მე-60 მუხლის 1-3 ნაწილების დარღვევას წარმოადგენს.

- **დათვლილი ბიულეტენების რაოდენობის განსხვავდება შემაჯამებელ ოქმში ჩაწერილი რაოდენობისაგან** (ზუგდიდის # 67-ე საარჩევნო ოლქის, რუხის 64-ე საარჩევნო უბანი; ქ.თბილისში მეშვიდე ოლქის მეორე საარჩევნო უბანი), აღნიშნული განხორციელდა საქართველოს საარჩევნო კოდექსის 63-ე მუხლის მოთხოვნათა გაუთვალისწინებლად.

- პროცედურის გამიზნული დაყოვნება (თელავის # 17 საარჩევნო ოლქის, # 39 ყარაჯალის საარჩევნო უბანი).

## 8. კენჭისყრის დღეს გამოვლენილი სხვადასხვა ტიპის დარღვევები:

- **ზეწოლა დამკვირვებლებზე და მათი საქმიანობის ხელშეშლა**

გორის რაიონის ყელქცეულას საარჩევნო უბანზე, სამართლიანი არჩევნების დამკვირვებელი საჩივრის დაწერას აპირებდა, რა დროსაც კომისიის თავმჯდომარე სანაცვლოდ ფანჯრიდან გადაგდებით დაემუქრა. აღნიშნულ საარჩევნო უბანზე ორგანიზაციის სხვა წარმომადგენლები გამოცხადდნენ, რომელთაც საარჩევნო უბანზე აბსოლუტური ქაოსი და ნასვამ მდგომარეობაში მყოფი უბნის თავმჯდომარე და დანარჩენი, კომისიის წევრი მამაკაცები დახვდნენ. აღნიშნულნი უცენზურო სიტყვებით მიმართავდნენ დამკვირვებელს და სიტუაცია იმდენად დაიძაბა, რომ ხელით შეხებასაც კი აპირებდნენ;

გორის რაიონის, ვარიანის საარჩევნო უბანზე, ცესკო-ს წარმომადგენელმა თინათინ ხაჩიძემ სცადა დამკვირვებლის მუშაობის ხელშეშლა და კატეგორიულად ითხოვდა დამკვირვებლის მიერ გადაღებული ვიდეო მასალის წაშლას;

საგარეჯოს რაიონის, ყარაჯალას #38 საარჩევნო უბანზე, იქ სადაც დამკვირვებელმა კანონდარღვევები დააფიქსირა და მეორე საჩივარი დაწერა, საარჩევნო უბნის ერთ-ერთმა რეგისტრატორმა, ერთ მეტრიანი ალუმინის სახაზავი მოიტანა, რეგისტრაციის მაგიდებიდან ორი მეტრი გადაზომა და დამკვირვებელს მკაცრად აფრთხილებდა არ გადმოცდენოდა ორ მეტრიან რადიუსს. აღნიშნულით დამკვირვებელს ეზღუდებოდა უბნის შიგნით სრულად დაკვირვებისა და თავისუფლად გადაადგილების საშუალება;

ქუთაისის 59-ე საოლქო საარჩევნო კომისიაში შესული საჩივრების საკმაოდ დიდი წილი, საუბნო საარჩევნო კომისიებში არასამთავრობო ორგანიზაციების დამკვირვებელთა შეურაცხყოფის ფაქტებზე გახლდათ, რომელსაც საუბნო საარჩევნო კომისიის წევრები ახორციელებდნენ;

ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმომადგენლები, რომლებსაც ლაგოდეხის რაიონულ სასამართლოში, არჩევნების შედეგებთან დაკავშირებული სარჩელი შექონდათ, ლაგოდეხის პოლიციამ დიდი სისწრაფით მოძრაობის მიზეზით გააჩერა. საჯარო ოქმის შევსებისას პოლიციელი შეგნებულად წელავდა ოქმის შედგენის დროს და ამასობაში ტელეფონით იღებდა კონსულტაციებს. მან ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისი მუხლიც კი არ იცოდა, რომელიც მოცემულ შემთხვევაში უნდა გამოეყენებინა. ცენტრის წარმომადგენლების თხოვნაზე სწრაფად შეევსოთ ოქმი და დროულად გაეშვათ,

პოლიციამ რეაგირება არ მოახდინა და აღნიშნული ზუსტად მაშინ გაუშვეს, როდესაც რაიონულ სასამართლოში საარჩევნო შეტანის საბოლოო ვადა 20:00 საათი გახდა;

ლაგოდეხის #22 ყარაჯალას საარჩევნო უბანზე მყოფი დამკვირვებლის მიერ, დაუდგენელი პირის მიერ, საარჩევნო ყუთში ბიულეტენების ჩაყრის ფაქტზე დაწერილი საჩივრის შემდგომ, საუბნო საარჩევნო კომისიის წევრები დაემუქრნენ დამკვირვებელს და განუმარტეს, რომ თუ მათი ნების საწინააღმდეგოდ წავიდოდა, საჩივრებს დაუწერდნენ, ჟურნალისტებს დაურეკავდნენ და საარჩევნო პროცესში ხელშეშლის მიზეზით უბნიდან გააძევებდნენ;

ყარაჯალას #39 საარჩევნო უბანზე მყოფ დამკვირვებელზე ხორციელდებოდა ზეწოლა, რომლის დროსაც საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე და ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენელი პირდაპირ მიუთითებდნენ დამკვირვებელს არ გაეგრძელებინა საჩივრების წერა და უკრძალავდნენ საარჩევნო უბანზე ფოტო და ვიდეო გადაღებას.

ზემოაღნიშნული დარღვევები ფიქსირებოდა (ზუგდიდის # 67-ე საარჩევნო ოლქის, რუხის 64-ე საარჩევნო უბანი; ზესტაფონის #51 ოლქის ზესტაფონის #48 უბანი; გურჯანის #12 ოლქის, კარდენახის #33 უბანი; თელავის # 17 საარჩევნო ოლქი, 39 ყარაჯალას საარჩევნო უბანი, ლაგოდეხის #22 ყარაჯალას, საგარეჯოს ქეშალოს #45 საარჩევნო უბნებზე) რაც გამოიხატებოდა საქართველოს საარჩევნო კოდექსის 38-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის, 65-ე მუხლის მე-3 ნაწილის დარღვევითა და 70-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების მოთხოვნათა უგულებელყოფით, რაც ამავე კანონის 126<sup>30</sup>-ე მუხლის თანახმად იწვევს შესაბამისი პირის დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით.

- **ძალოვანი სტრუქტურების არსებობა საარჩევნო უბნებზე და უბნის მიმდებარე ტერიტორიებზე** (ზუგდიდის #67-ე საარჩევნო ოლქის, კახათის, შამგონას, ანაკლიის, განმუხურის საარჩევნო უბნები; თბილისი, ნაძალადევის მე-9 ოლქის #17 უბანი. იგივე ვითარება გახლდათ კახეთის რეგიონშიც. მაგ: მარილისის №28, ასევე №3 სათიანოს, ქისტაურის №20, ომალოს №24 საარჩევნო უბნებზე და სხვა). ასევე დაფიქსირდა ე.წ. „შენიღბული პოლიციელების“ ყოფნა საარჩევნო უბანზე, (ხოზის # 3 საარჩევნო უბანი), რომელთაც მართალია არ ეცვათ პოლიციელის ფორმები, თუმცა უბანზე მყოფი ყველა პირი მას ასეთად იცნობდა. აღნიშნული ხორციელდებოდა საქართველოს საარჩევნო კოდექსის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის მოთხოვნათა არარსებობის მიუხედავად.
- **ამომრჩეველთა დიდი ნაკადის ერთდროულად მოსვლა საარჩევნო უბანზე** (საგარეჯო, თულაურის 48-ე, ფოთის #10-ე საარჩევნო უბნები).
- **სახელისუფლებო პარტიის სასარგებლოდ აგიტაცია ამომრჩევლებზე:**

კენჭისყრის დღეს, საარჩევნო უბნის ჯებირებზე “ერთიანი ნაციონალური მოძრაობის” პლაკატების არსებობა (ქობულეთის #29-ე, ზუგდიდი კახათის #95 საარჩევნო უბანი),

კენჭისყრის დღეს, საარჩევნო უბანში “ერთიანი ნაციონალური მოძრაობის” სააგიტაციო ჟურნალების არსებობა, რომელიც ჩანაწერთა წიგნის გვერდით იყო განთავსებული (მარნეულის #5-ე საარჩევნო უბანი) რაც ხორციელდებოდა საქართველოს საარჩევნო კოდექსის მე-8 მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნათა დარღვევით და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 162-ე მუხლის შესაბამისად, რაც ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე ან თავისუფლების შეზღუდვით ვადით 2 წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით იმავე ვადით.

საგარეჯოში, თელავში ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ უბნებში, კენჭისყრის დღეს, უბანზე მოსულ ამომრჩეველთათვის აგიტაციის გაწევა აზერბაიჯანულ ენაზე. ასევე, ნათესაობრივ, ცოლქმრულ კავშირებსა და ქართული ენის უცოდინრობაზე აპელირებით ამომრჩეველთა ერთმანეთისათვის დახმარების გაწევა, რა დროსაც ასევე, ადგილი ქონდა აგიტაციას და ამომრჩეველთა მიერ კოლექტიურად ხმის მიცემის პროცესს. აგიტაციის ფაქტები დაფიქსირდა გორში, სოფელ ნიქოზის და ზესტაფონის პირველი სვირის #26 საარჩევნო უბნებზეც. აღნიშნული ხორციელდებოდა საქართველოს საარჩევნო კოდექსის მე-8 მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნათა დარღვევით და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 162-ე მუხლის შესაბამისად რაც ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე ან თავისუფლების შეზღუდვით ვადით 2 წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით იმავე ვადით.

კენჭისყრის დღეს, საარჩევნო უბნებზე ამომრჩეველთა სამარშუტო ტაქსებით მოყვანა. აღნიშნული ფაქტები მასიურად ფიქსირდებოდა როგორც სამეგრელოს, ასევე კახეთის და გორის რეგიონში. აღნიშნული წარმოადგენს საქართველოს საარჩევნო კოდექსის 73-ე მუხლის მე-101 ნაწილისა და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 162-ე მუხლის შესაბამისის დარღვევას რაც ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ერთ წლამდე ან თავისუფლების შეზღუდვით ვადით 2 წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით იმავე ვადით.

გადამდგარი რწმუნებულებისა და მათი მოვალეობის შემსრულებელთა უშუალო აგიტაცია, რაც გამოიხატებოდა კენჭისყრის დღეს უშუალოდ საარჩევნო უბნებზე მისვლით, ამომრჩეველთა გადაადგილების უზრუნველყოფით და საარჩევნო პროცესის თვალყურის დევნებით. აღნიშნულს ადგილი ქონდა როგორც კახეთის, სამეგრელოს, გორისა და ზესტაფონის რეგიონში. აღნიშნული ხორციელდებოდა საქართველოს საარჩევნო კოდექსის მე-8 მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნათა დარღვევით.

- **ოპოზიციური პარტიის სასარგებლოდ აგიტაცია ამომრჩევლებზე:**

ახმეტის მე-18 საარჩევნო ოლქის დუისის #5 უბანზე, არჩევნების დღეს, ქრისტიან დემოკრატიული პარტიის კანდიდატის თენგიზ გაურგაშვილის მიერ მოყვანილი იქნა ორი აქტივისტი, რომელთაც საარჩევნო უბანის შენობაზე გააკრეს პლაკატები.

- **სახელისუფლებო პარტიის მხრიდან განხორციელებული ზეწოლა ამომრჩევლებზე:**

კენჭისყრის დღეს, საარჩევნო უბნების შესასვლელებთან და უბნის მიმდებარე ტერიტორიებზე ფიქსირდებოდა ე.წ. “მიკრო კოორდინატორების” მიერ ამომრჩევლეთა აღრიცხვისა და ზეწოლის ფაქტები. აღნიშნული ასევე ფიქსირდებოდა როგორც სამეგრელოს და კახეთის რეგიონში, რაც ხორციელდებოდა საქართველოს საარჩევნო კოდექსის მე-4 და მე-8 მუხლის მე-2 ნაწილისა და 70-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის დარღვევით, რომელიც ამავე კოდექსის 126<sup>31</sup>-ე მუხლის თანახმად იწვევს შესაბამისი პირების დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით.

## 9. ადგილობრივი დამკვირვებლები

2010 წლის 30 მაისის ადგილობრივი თვითმართველობის არჩევნებისათვის ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში დარეგისტრირდა 36 არასამთავრობო ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაცია. მათი მიზანი, არჩევნების პროცესის მიმდინარეობის ობიექტური და სამართლიანი დაკვირვება უნდა ყოფილიყო. თუმცა, ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებლების მიერ, 30 მაისის არჩევნებზე უშუალო დაკვირვებისას გამოვლენილ იქნა ფაქტები, რომლის დროსაც, საუბნო საარჩევნო კომისიებში მყოფი სხვადასხვა ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციების წარმომადგენლები არ აფიქსირებდნენ და არ რეაგირებდნენ საარჩევნო უბანზე მიმდინარე დარღვევათა შესახებ. კერძოდ:

- ფოთის #24 საარჩევნო უბანზე დამკვირვებლები რეაგირებას არ ახდენდნენ აშკარა დარღვევებზე და ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელთან საერთო ენის გამონახვით ცდილობდნენ დამკვირვებელს არ დაეწერა საჩივარი და ყურადღება არ გაემახვილებინა დარღვევებზე;

გარდა ზემოაღნიშნულისა, არსებობდა იდენტიფიცირების პრობლემები, როდესაც ერთი და იგივე დამკვირვებელი, ერთ შემთხვევაში აცხადებდა, რომ პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელი გახლდათ და ამასთანავე მას, არასამთავრობო ორგანიზაციის ბეჯიც გააჩნდა. კერძოდ:

- ხობის #30 საარჩევნო უბანზე აღმოჩნდა დამკვირვებელი, რომელიც ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებელს ჯერ ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლად გაეცნო, ხოლო შემდეგ იგივე დამკვირვებელს „მშვიდობისა და განვითარების აკადემიის“ ბეჯი ეკეთა.
- ფოთის #28 საარჩევნო უბანზე „ახალგაზრდული განვითარების ფონდი“-სა და სხვათა დამკვირვებლები, ერთმანეთის იდენტურ ფორმებში ინიშნავდნენ მოსული ამომრჩევლების სიაში რეგისტრაციის ნომერს. ხშირ შემთხვევაში რეგისტრატორები თავად მიუთითებდნენ დამკვირვებლებს, ამომრჩევლის საარჩევნო სიაში რეგისტრაციის ნომერს;

არასამთავრობო ორგანიზაციების დამკვირვებლებთან დაკავშირებით, რთული ვითარება გახლდათ კახეთის რეგიონში, სადაც ერთ შემთხვევაში დამკვირვებლები აცხადებდნენ, რომ ადგილობრივმა ხელისუფლებამ დაიქირავა და ბეჯებიც მათ გადასცეს, ხოლო მეორე შემთხვევაში მათ პასუხი არ ქონდათ რომელ ორგანიზაციას წარმოადგენდნენ და ვინ დაიქირავათ ისინი. კერძოდ:

- დამკვირვებელი ორგანიზაციების: „ბათუმელი“, „დემოკრატიის ცენტრი“, „საზოგადოებრივ ინიციატივათა ალიანსი“, „მშვიდობისა და განვითარების აკადემიის“ წარმომადგენლები, რომლებიც კახეთის რეგიონის თითამის ყველა საარჩევნო უბანზე იქნენ წარმოდგენილები, აცხადებდნენ, რომ ისინი სოფლის გამგებელის მიერ იქნენ დაქირავებულნი;

განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს „ასოციაცია მშვიდობისა და განვითარების აკადემია“-ზე, რომლის დამკვირვებლებიც როგორც ზუგდიდში, ასევე კახეთსა და ადიგენში იყვნენ წარმოდგენილნი. დამკვირვებლებისადმი კითხვაზე თუ, რომელ ორგანიზაციას წარმოადგენდნენ და რას საქმიანობდა მათი ორგანიზაცია, მათ პასუხი არ ჰქონდათ. „ასოციაცია მშვიდობისა და განვითარების აკადემიის“ ხელმძღვანელმა გიორგი კაკულიამ, ადამიანის უფლებათა ცენტრის წარმომადგენელთან საუბრისას განმარტა, რომ მათი ორგანიზაცია 2010 წლის 30 მაისს გამართულ არჩევნებს არ დაკვირვებია - „ორგანიზაცია ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში რეგისტრირებული გახლდათ, თუმცა, აკრედიტაციისათვის მათ, ცესკო-ში დამკვირვებელთა სიის წარდგენა ვერ მოასწრეს“. აღნიშნულთან დაკავშირებით, ადამიანის უფლებათა ცენტრმა ცენტრალური საარჩევნო კომისიიდან საჯარო ინფორმაცია გამოითხოვა, რომელშიც აღნიშნულია, რომ: „ასოციაცია მშვიდობისა და განვითარების აკადემიამ საქართველოს საარჩევნო კოდექსის 69-ე მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად, წარმოადგინა დამკვირვებელთა სია, რის შემდეგაც დამკვირვებლები რეგისტრაციაში გატარდნენ და მათ გადაეცათ დამკვირვებლის მოწმობები. ხოლო ამ მოწმობების წაღების ფაქტს ადასტურებს ასოციაციის წარმომადგენლის სარეგისტრაციო ჟურნალში ხელმოწერა.(იხ. დანართი #1)

მსგავსი ვითარება გახლდათ, ორგანიზაცია „დემოკრატიის ცენტრი“-ს მიმართაც, რომლის ერთ-ერთმა დამკვირვებელმა განაცხადა, რომ აკრედიტაციის ბარათი „ბეჯი“ საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ გადასცა. დემოკრატიის ცენტრის აღმასრულებელ დირექტორს ბადრი ნიაურის განცხადებით - „მსგავსი ინფორმაცია მისთვის უცნობი გახლდათ და მან არ იცის თუ, ვინ შეიძლება ყოფილიყვნენ ეს დამკვირვებლები“.

ყოველივე ზემოაღნიშნული სამწუხარო რეალობას წარმოადგენს, რომელსაც სერიოზული კონტროლი სჭირდება. სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები, რომლებიც არჩევნების მიმდინარეობის პროცესს სამართლიანად და ობიექტურად უნდა აკვირდებოდნენ გარიგებულნი არიან სხვადასხვა პოლიტიკურ ძალებთან და მიკერძოებულ პოზიციებს გამოხატავენ.

ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციების პრობლემას აღნიშნავდა უკრაინელი ჟურნალისტი იაკუბ პარუსინსკი, რომელიც თვითმართველობის არჩევნებს ადამიანის უფლებათა ცენტრის სახელით, კახეთის რეგიონში აკვირდებოდა. ჟურნალისტი თავის ანგარიშში აფიქსირებს „გაურკვეველი დამკვირვებლების პრობლემას“, როდესაც ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებლები, სხვადასხვა საარჩევნო უბნებზე მყოფ ადგილობრივ დამკვირვებლებს კითხვით მიმართავდნენ, თუ რომელ ორგანიზაციებს წარმოადგენდნენ, რაზედაც დამკვირვებლები „არ ვიცით“ პასუხობდნენ. ცენტრის დამკვირვებლის დაჟინებული კითხვის შემდგომ ერთ-ერთმა ასეთმა დამკვირვებელმა განაცხადა, რომ აკრედიტაციის ბარათი „ბეჯი“ ადგილობრივი ადმინისტრაციის შენობაში გადასცეს.

იმ ადგილობრივი დამკვირვებლებისაგან განსხვავებით, რომლებიც არჩევნებს იგივე საარჩევნო უბნებში აკვირდებოდნენ, სადაც უკრაინელი ჟურნალისტი, ჟურნალისტის შეფასება ასეთია: „30 მაისს საქართველოში არჩევნებზე პროცედურული დარღვევები და მიზანმიმართული გაყალბების ფაქტები იმაზე უფრო ფართო მასშტაბიანი და ორგანიზებული აღმოჩნდა, ვიდრე ეს მოსალოდნელი იყო. ყოველივე აღნიშნული შემთხვევითობას არ წარმოადგენდა. ის, უკვე წესად ქცეული ჩვეულება გახლდათ“. ჟურნალისტი აფიქსირებს დარღვევებს, რომლის დროსაც: დამკვირვებლებზე ხორციელდებოდა ზეწოლა; საუბნო კომისიები არ არეგისტრირებდნენ დამკვირვებელთა საჩივრებს; დამკვირვებლების უბნებიდან გამოსვლის შემდგომ არ ხდებოდა მარკირების შემოწმება; იყო შემთხვევა, როდესაც ამომრჩეველი ცდილობდა 10-20 ბიულეტენი ერთად ჩაეყარა საარჩევნო ყუთში; ხორციელდებოდა ამომრჩეველთა კონტროლი; საზღვარგარეთ მყოფ ამომრჩეველთა გრაფებში დაფიქსირდა ხელმოწერები; მოქალაქეები არჩევნებში მონაწილეობდნენ გადაქსეროქსებული პირადობის მოწმობებით; მარკირებულმა

ამომრჩევლებმა იპოვეს გამოსავალი, მოიცვილეს მარკირება და ხელმეორედ მიიღეს არჩევნებში მონაწილეობა და სხვა<sup>50</sup>.

## 10. განმეორებითი კენჭისყრა

ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ, 2010 წლის 30 მაისს არჩევნებზე განხორციელებული სადამკვირვებლო მისიის შემდგომ, რომელიც კახეთისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში ხორციელდებოდა, საგარეჯოს რაიონის, ზემო ლამბალოს #47 საარჩევნო უბანი ერთადერთი გახლდათ ორგანიზაციის სადამკვირვებლო არეალის ფარგლებში, სადაც განმეორებითი კენჭისყრა ჩატარდა.

საგარეჯოს რაიონის სოფელ ზემო ლამბალოს #47 საარჩევნო უბნის შედეგების ბათილობა საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მითითებით, საოლქო საარჩევნო კომისამ “ადამიანის უფლებათა ცენტრის” მიერ გადაღებული ვიდეო მასალის საფუძველზე მოახდინა.

საგარეჯოს, ზემო ლამბალოს #47 საარჩევნო უბნის განმეორებითი კენჭისყრის პროცესთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ კენჭისყრის შენობა კვლავაც კანონდარღვევით იქნა მოწყობილი (ერთ ოთახში განთავსებული გახლდათ სარეგისტრაციო მაგიდები და მეორე ოთახში კენჭისყრის კაბინები), საუბნო საარჩევნო კომისია გახლდათ ახალი შემადგენლობით. კენჭისყრის პროცესის დაწყებიდან, საარჩევნო უბანზე იმყოფებოდნენ საგარეჯოს საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები, რომლებსაც მოგვიანებით ცესკო-ს წარმომადგენელიც შეუერთდა. საარჩევნო უბნის შესასვლელში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე მთელი დღის განმავლობაში იმყოფებოდნენ ზემო ლამბალოს ტერიტორიული ორგანის რწმუნებული და ამავე საარჩევნო უბნის ყოფილი თავმჯდომარე, რომელსაც ხელთ ქონდა საარჩევნო სიები და მოსულ ამომრჩეველს აღნიშნავდა. სოფლის გამგებელი უბანზე მოსულ ყველა ამომრჩეველს ხვდებოდა და აზერბაიჯანულ ენაზე ესაუბრებოდა. განმეორებითი კენჭისყრისათვის არ დარიგებულა ამომრჩევლის ბარათები და არ შექმნილა გადასატანი ყუთისათვის სიის დანართი, რადგან საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის განცხადებით, საუბნო საარჩევნო კომისიისათვის განცხადებით არავის მიუმართავს. როგორც 30 მაისს გამართულ არჩევნებზე, ასევე, აღნიშული კენჭისყრის დროს, იმის გამო რომ ამომრჩეველმა არ იცოდა ქართული ენა, ხმის მიცემა კენჭისყრის კაბინაში შეუსვლელად, ერთი და იგივე ამომრჩევლის დახმარებით ხდებოდა.

<sup>50</sup> <http://www.humanrights.ge/index.php?a=article&id=5122&lang=ge>

აღსანიშნავია, რომ 2010 წლის 12 მაისს, განმეორებით კენჭისყრაზე ამომრჩეველთა აქტივობა ძალიან დაბალი გახლდათ. საარჩევნო სიაში რეგისტრირებული 1363 ამომრჩევიდან, კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 117 ამომრჩეველმა

## 11. საერთაშორისო ორგანიზაციების შეფასებები

2010 წლის 30 მაისის არჩევნებისათვის საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში 28 საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაცია დარეგისტრირდა. აღნიშნულ 28 ორგანიზაციათაგან 8 ქვეყნის (შვედეთის, ბრიტანეთის, ამერიკის, ესტონეთის, საფრანგეთის, იტალიის, აზერბაიჯანის, იაპონიის) საელჩო გახლდათ, 5 ქვეყნის (ლატვიის, იტალიის, სომხეთის, უკრაინის, ბულგარეთის) საარჩევნო კომისიათა წარმომადგენლები და დანარჩენს კი, სხვადასხვა ქვეყნის საერთაშორისო ორგანიზაციები წარმოადგენდნენ.

არჩევნების დღეს, სადამკვირვებლო მისიები საარჩევნო უბნებზე თბილისსა და რეგიონებში თანაბრად იყვნენ გადანაწილებულნი. მათი წინასწარი შეფასებები არსებითად არც საბოლოო დასკვნებში შეცვლილა:

- „საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის“ (IFES) 28 მაისის წინასაარჩევნო მონიტორინგში აღნიშნავს, რომ ეს არჩევნები იყო პირველი აგვისტოს ომის შემდგომ და სწორედ ამიტომ მოექცა უბრალო ადგილობრივი არჩევნები საერთაშორისო საზოგადოების ყურადღების ცენტრში<sup>51</sup>. არჩევნების დღეს IFES-ი ამომრჩეველებზე განხორციელებულ ზეწოლაზე საუბრობდა. მათ შეფასებაში აღნიშნულია, რომ „ხდებოდა მოქალაქეთა იძულება, რომ ამ უკანასკნელთ თავისი არჩევანი „ერთიან ნაციონალურ მოძრაობის“ კანდიდატებზე შეეჩერებინათ“<sup>52</sup>.
- ადგილობრივი თვითმართველობის არჩევნებზე დაკვირვების დაინტერესების ანალოგიურ მიზეზზე მიუთითებენ „აშშ-ს საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის (IRI)“ წარმომადგენლები<sup>53</sup>, რომლებიც ასევე, აგვისტოს ომის შემდგომ, პირველ არჩევნებზე აკეთებენ აქცენტს. „საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის (IRI)“ წარმომადგენლები საბოლოო დასკვნაში საუბრობენ მთავრობის მზადყოფნაზე ითანამშრომლონ ოპოზიციურ პარტიებთან, რამაც საბოლოოდ საკმაოდ დადებითი შედეგი გამოიღო. მათი თქმით შემუშავდა საარჩევნო კოდექსის ცვლილებები, რომელიც ადეკვატურად ასახავდა

<sup>51</sup> <http://www.ifes.org/Content/Publications/Opinions/2010/May/Georgias-Municipal-Elections.aspx>

<sup>52</sup> <http://www.ifes.org/Content/Galleries/E/Election-Day-in-Tbilisi-Georgia.aspx#>

<sup>53</sup> <http://www.iri.org/news-events-press-center/news/georgia-pre-election-watch-may-2010-local-elections>

საზოგადოების მოთხოვნილებებსა და საჭიროებებს. **IRI-ი** წინასაარჩევნო პერიოდის დასკვნაში, ასევე აღნიშნავს, რომ „მიუხედავად იმისა რომ არჩევნების დონემ საგრძნობლად აიწია, მაინც რჩება ისეთი სერიოზული პრობლემები, როგორც არაეფექტურად გადანაწილებული ადმინისტრაციული რესურსებია, რაც შემდგომ დამუშავებასა და დახვეწას საჭიროებს. მათივე თქმით, ორგანიზაციის წარმომადგენლები ამ განცხადებას „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ დასკვნაზე დაყრდნობით აკეთებენ“.

- **სამხრეთ კავკასიაში ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენელი პიტერ სემნები** აღნიშნავდა, რომ "30 მაისისთვის დაგეგმილი ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები მომავალი საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების სახე უნდა გამხდარიყო. „თვითმმართველობის არჩევნები მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისითაც, რომ პირველი არჩევნებია იმ უმძიმესი პერიოდის შემდეგ, რომელიც საქართველომ გამოიარა, ამიტომ მასში მონაწილე პოლიტიკური პარტიები და ცსკო არჩევნებს სრული სერიოზულობით უნდა მოეკიდონ, რათა ისინი სამართლიანად და დემოკრატიულად ჩატარდეს"<sup>54</sup>.
- **საქართველოში ამერიკის საელჩოს 31 ივნისის დასკვნის მიხედვით** „არჩევნებმა მოლოდინი მეტნაკლებად გაამართლა და არსებული წვრილმანი დარღვევების მიუხედავად „სახეზეა საგრძნობი პროგრესი საერთაშორისო სტანდარტების მიმართულებით“. მათი განცხადებით საქართველომ ეს არჩევნები წინასთან შედარებით საგრძნობლად კარგად ჩაატარა<sup>55</sup>. მათი მხრიდან დადებითი შეფასება დაიმსახურა ცენტრალური საარჩევნო კომისიის ნაბიჯებმა, რომელიც მეტი გამჭვირვალობისა და საარჩევნო დარღვევებზე რეაგირებისკენაა გადადგმული. ასევე დადებითად არის შეფასებული საქართველოს მთავრობის უწყებათშორისი სამუშაო ჯგუფის მზადყოფნა, არჩევნებთან დაკავშირებული საკითხები პოლიტიკურ პარტიებსა და სამოქალაქო საზოგადოებასთან ერთად განიხილოს<sup>56</sup>. საელჩოს 31 ივნისის დასკვნაში, ასევე კონკრეტულად არის დასახელებული ის რეგიონები, რომლებშიც არჩევნების დღეს დარღვევებს ინტენსიური ხასიათი ჰქონდა. მათ რიცხვში მოხვდნენ კახეთის, ქვემო ქართლის, სამცხე-ჯავახეთისა და სამეგრელოს ცალკეულ საარჩევნო უბნები.
- **ეუთოსა და ევროპის საბჭოს სადამკვირვებლო მისიის, 2010 წლის 30 მაისის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების „მოხსენება წინასწარი შედეგების და დასკვნების შესახებ“** დოკუმენტში აღნიშნულია, რომ „30 მაისის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები ეუთოსა და ევროპის საბჭოს წინაშე აღებული ვალდებულებების შესრულების მხრივ აშკარა

<sup>54</sup> <http://www.commersant.ge/index.php?pg=nt&id=17287&ct=23>

<sup>55</sup> <http://georgian.georgia.usembassy.gov/geolocalelections.html>

<sup>56</sup> იქვე

პროგრესი გახლდათ. თუმცა, მნიშვნელოვან ხარვეზებს შორის, რჩება კანონმდებლობაში არსებული ნაკლოვანებები, მათი განხორციელება, არათანაბარი წინასაარჩევნო პირობები და არჩევნების დღეს დაფიქსირებული გაყალბების ცალკეული შემთხვევები“. აღნიშნულია, რომ „ხელისუფლებამ და საარჩევნო ადმინისტრაციამ აშკარა ძალისხმევა გასწია ამ პრობლემების გადასაწყვეტად, თუმცა საზოგადოებრივი ნდობის დაბალი ხარისხი შენარჩუნდა. მიუხედავად იმისა, რომ მთლიანობაში არჩევნები კარგად იყო ადმინისტრირებული, არჩევნების დღეს, წინა არჩევნების მსგავსად, სისტემური უწყესრიგობები იქნა დაფიქსირებული განსაკუთრებით კახეთში, სამცხე ჯავახეთსა და შიდა ქართლში. დოკუმენტში ასევე აღნიშნულია, რომ სადამკვირვებლო მისიას, ოპოზიციური პარტიებისაგან მიეწოდათ ინფორმაცია, მათ კანდიდატებზე ზეწოლასთან დაკავშირებით. სადამკვირვებლო მისიის გრძელვადიან დამკვირვებელთა შეფასებით „ზოგიერთი მათგანი დამაჯერებელი იყო“.

#### **დოკუმენტში ასევე აღნიშნულია, რომ:**

- „ზღვარი სახელმწიფოსა და მართველ პარტიას შორის ზოგჯერ ბუნდოვანი იყო. სახელმწიფო მოხელის ოფიციალური და პარტიული ფუნქციები ყოველთვის არ იყო მკვეთრად გამიჯნული;
- მედია მფლობელების გამჭვირვალობის საკითხი გაუმჯობესებას საჭიროებს. საზოგადოებრივი მაუწყებლისაგან განსხვავებით, წინასაარჩევნო კამპანიის გაშუქება სხვა სატელევიზიო არხების მიერ დაბალანსებული არ იყო. ასევე, წამყვან სატელევიზიო არხებზე ფასიანი პოლიტიკური რეკლამის ძალიან მაღალმა ტარიფმა კანდიდატებს მედიაში საარჩევნო კამპანიის წარმოების საშუალება შეუზღუდა;
- საერთაშორისო არჩევნების სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლების მონაცემებით, არჩევნების დღეს რამდენჯერმე ადგილი ქონდა დამაბულობას და პროცედურულ დარღვევებს, ზოგიერთი მათგანი სერიოზული ხასიათის მქონე დარღვევა იყო, მათ შორის, 13 შემთხვევაში, სავარაუდოდ ადგილი ქონდა საარჩევნო ყუთში ბიულეტენების ჩაყრას;
- ხმების დათვლის პროცესი უფრო ნეგატიურად შეფასდა, საშუალოდ ხუთიდან ერთ შემთხვევაში ხმების დათვლის პროცესი შეფასდა, როგორც ცუდი ან ძალიან ცუდი. მნიშვნელოვანი პროცედურული შეცდომები და გამორჩენები იქნა დაფიქსირებული ხმების დათვლის შემთხვევებიდან ერთ მეოთხედზე მეტ შემთხვევაში;
- დამკვირვებლებს ზოგჯერ ხელს უშლიდნენ დაკვირვებაში, ხოლო საერთაშორისო არჩევნების სადამკვირვებლო მისიის ერთ-ერთი დამკვირვებელი გამოიხმეს, მის მიმართ განხორციელებული მუქარის გამო.
- ის დებულებები, რომლებიც გარკვეული საჯარო მოხელეების მიერ საარჩევნო კამპანიაში შეუზღუდავი მონაწილეობის და ასევე, საარჩევნო კამპანიის დროს ადმინისტრაციული

რესურსების გამოყენების საშუალებას იძლევა, არ უზრუნველყოფს თანაბარ პირობებს არჩევნებში მონაწილე ყველა სუბიექტისათვის;

- ოპოზიური პარტიების, საუბნო საარჩევნო კომისიებში დანიშნულ წევრებზე ზეწოლისა და დაკავებული თანამდებობების დატოვების მოთხოვნის ორ შემთხვევაში, აღნიშნული ბრალდებები OSCE/ODIHR-ის გრძელვადიანი დამკვირვებლების მიერ დადასტურებულ იქნა;

- არჩევნების საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლებმა ამომრჩევლის დაშინების 8 შემთხვევა დააფიქსირეს. ბევრმა დამკვირვებელმა დააფიქსირა პარტიული აქტივისტები, რომლებიც აღრიცხავდნენ იმას, თუ რომელი ამომრჩეველი მივიდა საარჩევნო უბანზე. ამ აქტივისტების უმრავლესობის იდენტიფიცირების შემდგომ აღმოჩნდა, რომ მათი საქმიანობა ნაციონალური მოძრაობისათვის ხდებოდა.

- ნორვეგიის ჰელსინკის კომიტეტისა და ავსტრიის ჰელსინკის ასოციაციის წარმომადგენელთა ჯგუფი, 2010 წლის 30 მაისის თვითმართველობის არჩევნებს ადამიანის უფლებათა ცენტრის სახელით, სამხრეთ საქართველოში, ჯავახეთის რეგიონში აკვირდებოდა. მათი შეფასებით: „ფორმალურად, არჩევნების დემოკრატიულად ჩატარების მიუხედავად, ახალქალაქში დემოკრატია ნამდვილად არ არსებობს. ძირითადი დარღვევები არ იყო დაკავშირებული არჩევნების დღემდე ოპოზიციის კანდიდატებზე, წარმომადგენლებზე და დამკვირვებლებზე ზეწოლა. უფრო მეტიც, საარჩევნო უბნებზე მართველი პარტიის საარჩევნო ბუკლეტების არსებობა და განსაკუთრებით არაუფლებამოსილი ადამიანების ყოფნა, არაპირდაპირ ზეწოლას ახდენდა ამომრჩევლებზე. ერთ შემთხვევაში, სოფელ ფთენაში, არაუფლებამოსილი ადამიანი დირექტივებს აძლევდა საუბნო კომისიის წევრებს და ხმის მიცემაში ეხმარებოდა საარჩევნო კაბინაში შესულ ამომრჩევლებს.“

წინასაარჩევნო პერიოდთან დაკავშირებით სადამკვირვებლო ჯგუფის განცხადებით, ახალციხეში მათ უამრავი საჩივარი მიიღეს ოპოზიციური პარტიებისაგან, რომლებიც მათ კანდიდატებსა და კომისიის წევრებზე განხორციელებულ მუქარისა და ზეწოლის ფაქტებს ეხებოდა.

არჩევნების დღესთან დაკავშირებით, მიუხედავად იმისა, რომ საარჩევნო უბნებზე ატმოსფერო იყო მშვიდი და მოწესრიგებული, სადამკვირვებლო ჯგუფი შემდეგ დარღვევებს აფიქსირებს: ა) არაუფლებამოსილი ადამიანები როგორც საარჩევნო უბნებს შიგნით, ასევე გარეთ; ბ) პროცედურული დარღვევები (საარჩევნო კომისიის წევრეთა მხრიდან საარჩევნო პროცედურათა არ ცოდნა - საარჩევნო უბნის გახსნისა და დახურვის კანონით გათვალისწინებულ პროცედურათა უგულვებელყოფა, ოჯახის წევრების კოლექტიურად-ერთად ხმის მიცემა, მართველი პარტიის სააგიტაციო მასალების არსებობა საარჩევნო

უბნების შიგნით და გარეთ); პრობლემები შემაჯამებელ ოქმებში (დაფიქსირებულ იქნა, ოქმებში მონაცემების შეცვლის ფაქტები)<sup>57</sup>. (იხ. დანართი #3)

არაერთი საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაცია ამხვილებლდა ყურადღებას წინასაარჩევნო გარემოზე, მათ შორის 2008 წლის აგვისტოს მოვლენებსა და მის შემდეგ არსებულ ვითარებაზე. მათი თქმით, როგორც წესი საერთაშორისო ორგანიზაციები არ არიან დაინტერესებულნი ადგილობრივი არჩევნებით, თუმცა ამ შემთხვევაში მათი სიმრავლე საქართველოში, სწორედ ზემოთ დასახელებული გარემოებებითაა განპირობებული, რაც ერთი-ორად ზრდის ამ არჩევნების მნიშვნელობას.

ყოველივე ზემოთ თქმულის შემდგომ, უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო დამკვირვებლების მხრიდან არჩევნები მეტწილად პოზიტიურად შეფასდა. იყო გარკვეული შენიშვნები, საუბრები, ხაზგასმა რიგ პრობლემებზე და დარღვევებზე, რომლებიც რეალურად პრობლემური იყო მთელი საქართველოს მასშტაბით, თუმცა საერთაშორისო დამკვირვებლების უმრავლესობა არჩევნებს დემოკრატიულობის მაღალ ხარისხსაც უწონებს. მათი მონაცემებით, არსებულ ხარვეზებსა და დარღვევებს არჩევნების შედეგებზე, გავლენა არ მოუხდენია.

## **შეფასება და რეკომენდაციები:**

### **შეფასება**

2010 წლის 30 მაისის ადგილობრივი თვითმართველობის არჩევნების შეფასებისას უნდა აღინიშნოს, რომ არჩევნებმა მეტ-ნაკლებად მშვიდ ვითარებასა და გარემოში ჩაიარა. თუმცა მონიტორინგში აღნიშნული კანონდარღვევათა კონკრეტული ფაქტები საშუალებას არ იძლევა არჩევნები დემოკრატიულ, გამჭვირვალე და სამართლიან არჩევნებად შეფასდეს. ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ განხორციელებული მონიტორინგის დოკუმენტებში საუბარია, კანონდარღვევათა არა ეპიზოდურ, არამედ სისტემურ ხასიათზე.

წინასაარჩევნო პერიოდში, სახელისუფლებო პარტიის მხრიდან ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების ფაქტები, არაუფლებამოსილი პირების მონაწილეობა წინასაარჩევნო კამპანიაში და მედიის მიერ დაუბალანსებელი გაშუქება ცხადყოფდა, რომ წინასაარჩევნო კამპანია არასამართლიან და არათანაბარ გარემოში მიმდინარეობდა.

<sup>57</sup> <http://www.humanrights.ge/index.php?a=article&id=5077&lang=ge>

ადამიანის უფლებათა ცენტრის წინასაარჩევნო პერიოდის მონიტორინგში აღნიშნულია ბიზნესმენტათვის ფულის გამოძალვის ფაქტები, რომლებიც უსაფუძვლო ნამდვილად არ გახლდათ. რეალური შედეგების მიხედვით საარჩევნო ფონდში „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ შემოწირულობის სახით სულ 14 113 411. 8 ლარი მიიღო და დახარჯა. ეს თანხა 20-ჯერ აჭარბებდა არჩევნებში მეორე ადგილზე გასულ „ქრისტიან - დემოკრატების“ მიერ გაწეულ ხარჯებს და 100-ჯერ აღემატებოდა „ალიანსი საქართველოსთვის“ ხარჯს. საეჭვოა ვითარება, რომლის დროსაც საქართველოში მოღვაწე უმრავლესი კომპანია და ბიზნესმენი მხოლოდ სახელისუფლებო პარტიის მხარდაჭერაზეა ორიენტირებული.

გარდა ფინანსური ნაწილისა, ხაზგასასმელი გახლდათ პოლიტიკურ პარტიებზე ზეწოლის ფაქტები, რომლის დროსაც წინასაარჩევნო კამპანიისას, ოპოზიციურ პარტიათა მხარდამჭერებსა და პარტიის წევრებზე ფიქსირდებოდა მუქარისა და შანტაჟის ფაქტები, რამაც შედეგად აღნიშნულ პირთა საარჩევნო პროცესიდან გათიშვა და პოლიტიკურ პარტიათა დასუსტება გამოიწვია.

წინასაარჩევნო პერიოდში და არჩევნების დღეს, ერთ-ერთ მნიშვნელოვან კანონდარღვევას ამომრჩევლებზე ზეწოლისა და კონტროლის ფაქტები წარმოადგენდა. არჩევნების დღეს, საარჩევნო უბნებთან, სახელისუფლებო პარტიის მიკროკოორდინატორების და ამომრჩევლის ტრანსპორტირების ფაქტები, ამომრჩევლის სრულ კონტროლსა და ზეწოლას ემსახურებოდა. მაგალითისათვის ორი კონკრეტული ფაქტის მოყვანაა შესაძლებელი, როდესაც, ერთ შემთხვევაში, ფოთის #11 საარჩევნო უბნის გარეთ, სიებით ხელში მდგომი მოქალაქე აცხადებდა, რომ ის იყო ფოთის პორტის თანამშრომელი და ინიშნავდა საარჩევნო უბანზე მომსვლელ მისივე თანამშრომლებს. მეორე შემთხვევაში კი, 29 მაისს პავლე კუბლაშვილის მიერ გაკეთებული განცხადება, რომლის მიხედვითაც ნაციონალური მოძრაობის აქტივისტები საარჩევნო უბნებს გარეთ აღწერდნენ ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერებს და უზრუნველყოფდნენ მათივე ტრანსპორტირებას. ორივე შემთხვევა საგანგაშოა, რადგან ის ეწინააღმდეგება ხმის მიცემის ფარულობის კონსტიტუციურ პრინციპს, რომელიც ზღუდავს ამომრჩევლის ნების თავისუფალ გამოვლინებას და ახორციელებს კონტროლს.

უშუალოდ, არჩევნების დღეს გამოვლენილ არაერთ კანონდარღვევასთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას, რომ პრობლემური და თვალშისაცემი გახლდათ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა არაკვალიფიციურობა. თუმცა, კახეთის რეგიონისაგან განსხვავებით, ზუგდიდის რეგიონის რიგ საარჩევნო უბნებზე, კომისიის წევრები ითვალისწინებდნენ და დაუყოვნებლივ რეაგირებდნენ ადამიანის უფლებათა ცენტრის დამკვირვებლების შენიშვნებსა და საჩივრებზე.

აღსანიშნავია არჩევნების დღის პროცედურული დარღვევები, რომელთა შესახებ დეტალურად არის აღწერილი და შეფასებული მონიტორინგის ტექსტში.

გარდა ყოველივე ზემოაღნიშნულისა, როგორც საერთაშორისო, ასევე ადგილობრივი სადამკვირვებლო მისიების მიერ უარყოფითად შეფასდა, საარჩევნო უბნებსა და მის მიმდებარე ტერიტორიებზე უმიზნოდ მყოფი პოლიციის თანამშრომლები. რაც ასევე კანონდარღვევას წარმოადგენდა.

ასევე, აღსანიშნავია ადგილობრივ დამკვირვებლებზე განხორციელებული ზეწოლის ფაქტები, რომლებსაც განსაკუთრებით ხშირი შემთხვევა ქონდა კახეთის რეგიონში.

მნიშვნელოვანია, როდესაც საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა მხრიდან გამოვლენილ არა, ერთ, კანონდარღვევასთან დაკავშირებით, ცენტრალურ საარჩევნო კომისიას ადექვატური რეაგირება არ მოუხდენია.

აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს 2010 წლის 9 ივლის, საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში გამართული ბრიფინგი, რომელზეც ცესკოს პრესსპიკერმა საზოგადოებას 2010 წლის 30 მაისის არჩევნების პერიოდში შემოსული საარჩევნო დავების შესახებ ანგარიში წარუდგინა და ასევე გააცნო რამდენიმე მოსაზრება სისტემის გაუმჯობესებისათვის. ცესკო-მ სისტემურ გაუმჯობესებასთან დაკავშირებით, მათ მიერ მიღებული გამოცდილებიდან გამომდინარე, წარმოადგინა მოსაზრება, რომ:

1. საჩივრის შემდგენი უნდა იყოს ის მხარე, რომელსაც მიადგა პირდაპირი და უშუალო ზიანი. არჩევნების შემთხვევაში ასეთი მხარეები არიან საარჩევნო სუბიექტები და ამომრჩევლები.
2. საჩივრის დაწერის მიზანი უნდა იყოს მიყენებული პირდაპირი და უშუალო ზიანის აღმოფხვრა და არა სადამკვირვებლო ორგანიზაციის აქტიურობის დადასტურება.

ამ მოსაზრებების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობისათვის, ცესკო კოპენჰაგენის 1990 წლის (არჩევნებთან დაკავშირებული ვალდებულებანი) დოკუმენტის (8) ნაწილს იშველიებს<sup>58</sup>.

არასამთავრობო ორგანიზაციები და მათ შორის, ადამიანის უფლებათა ცენტრი ცალსახად უარყოფითად აფასებს და ყოვლად დაუშვებლად მიიჩნევს ცესკო-ს ამ წინადადებების განხორციელებას.

## **რეკომენდაციები:**

<sup>58</sup> [http://www.cec.gov.ge/index.php?lang\\_id=GEO&sec\\_id=13&info\\_id=7215](http://www.cec.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=13&info_id=7215)

### 1) სახელმწიფო ხელისუფლებამ:

- ✚ კონტროლი გაუწიოს სახელმწიფოსა და მართველ პარტიას შორის მკვეთრ განსხვავებასა და ხაზგასმას;
- ✚ კონტროლი გაუწიოს წინასაარჩევნოდ ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებას და აღკვეთოს აღნიშნული ფაქტები;
- ✚ წინასაარჩევნო პერიოდში ყურადღება მიექცეს ადგილობრივი თვითმართველობების საქმიანობას, რადგან საჯარო მოხელეები, რომლებიც ამა, თუ, იმ პოლიტიკურ პარტიათა მხარდასაჭერად შევებულებაში გადიან, აფერხებენ და არაეფექტურს ხდიან თვითმართველობების საქმიანობას;
- ✚ წინასაარჩევნო პერიოდში პარტიული პროგრამების მკვეთრი გამოიჯვნა სახელმწიფო პროგრამებისაგან;
- ✚ მნიშვნელოვანია, ჩატარდეს მოსახლეობის საყოველთაო აღწერა, რომლის შემდგომაც უნდა შემუშავდეს და ფორმირდეს ამომრჩეველთა ერთიანი სია.

### 2) საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ უზრუნველყოს:

- ✚ საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა კვალიფიკაციის ამაღლება;
- ✚ ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული რეგიონების საარჩევნო უბნებზე, სახელმწიფო ენის მცოდნე კომისიის თავმჯდომარეთა და მდივანა შერჩევა;
- ✚ საარჩევნო უბანთა კანონის დაცვით მოწყობა;
- ✚ მარკირების სითხის მკაცრად შემოწმება, რათა არ მოხდეს მისი ფალსიფიცირება;
- ✚ მარკირების შესამოწმებელი სპეციალური აპარატის ხარისხის კონტროლი;
- ✚ იმუშაოს ამომრჩეველთა ცნობიერების ამაღლებაზე, რათა უკეთ გააცნოს ამომრჩეველს არჩევნებისა და საარჩევნო პროცესის მნიშვნელობა.

### 3) პოლიტიკურმა პარტიებმა:

- ✚ სისტემატურად იმუშაონ ამომრჩეველებთან და მიაწოდონ ინფორმაციები მათ ინიციატივებთან და საქმიანობებთან მიმართებაში;
- ✚ მკაცრად შეარჩიონ კადრები, განსაკუთრებით საოლქო და საარჩევნო კომისიებში;
- ✚ წინასაარჩევნო კამპანია აწარმოონ, როგორც ქალაქებში, ასევე, რაიონებსა და სოფლებში;
- ✚ ამომწურავად, ყველა დონეზე მოახდინონ რეაგირება, საარჩევნო პროცესის დროს გამოვლენილ დარღვევათა შესახებ.

### 4) ადგილობრივმა დამკვირვებელმა ორგანიზაციებმა:

- ✚ მკაცრად შეარჩიონ და მოამზადონ დამკვირვებლები.


### 5) საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიებმა:

- ✚ დამკვირვებლები საარჩევნო უბნებზე უნდა გააჩერონ იმ დრომდე, რა დროშიც შესაძლებელია საარჩევნო უბანზე, არჩევნების მიმდინარეობის შესახებ ობიექტური სურათის დანახვა და შეფასება;
- ✚ უზრუნველყონ საერთაშორისო დამკვირვებელთა, სასამართლო პროცესებზე მოწმედ გამოსვლის შესაძლებლობა.

(დანართი #1)

**დარღვევები  
რეგიონების მიხედვით**

- სამეგრელო
- კახეთი
- ზესტაფონი
- შიდა ქართლი
- ქვემო ქართლი
- ზემო სვანეთი



(დანართი #2)



საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია  
THE CENTRAL ELECTION COMMISSION OF  
GEORGIA

№ 03/1507  
“14” 07 2010 წ.

ადამიანის უფლებათა ცენტრის  
აღმასრულებელ დირექტორს  
ბატონ უჩა ნანუაშვილის

ბატონო უჩა,

თქვენი 2010 წლის 12 ივნისის №OL-1005 წერილის პასუხად, გაცნობებთ, რომ 2010 წლის 30 მაისის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს, საქართველოს დედაქალაქის – ქ. თბილისის საკრებულოს, ქ. თბილისის მერისა და საქართველოს პარლამენტის შუალედური არჩევნებისათვის საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2010 წლის 18 მაისის №289/2010 განკარგულებით რეგისტრაციაში გატარდა არასამთავრობო ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაცია - ასოციაცია (კავშირი) “მშვიდობისა და განვითარების აკადემია”. აღნიშნულმა რეგისტრირებულმა ორგანიზაციამ საქართველოს ორგანული კანონის “საქართველოს საარჩევნო კოდექსი” 69-ე მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად კანონმდებლობით დადგენილი წესის დაცვით წარმოადგინა დამკვირვებელთა სია. ამავე კანონის, ამავე მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად დამკვირვებლები რეგისტრაციაში გატარდნენ ცენტრალური საარჩევნო კომისიის მდივნის 2010 წლის 26 მაისის №274/2010 და 2010 წლის 27 მაისის №297/2010 განკარგულებებით და მათ გადაეცათ დამკვირვებლის მოწმობები.

აღმასრულებლის ხელისმძღვენი, მე-13 კმ, 0131, თბილისი, საქართველო  
13<sup>th</sup> km, David Agmashenebeli Alley, 0131, Tbilisi, Georgia  
www.ccc.gov.ge, ccc@ccc.gov.ge

☎ (995 32) 51 00 51

ხოლო რაც შეეხება აღნიშნული მოწმობების გადაცემის დამადასტურებელ ხელმოწერას - იგი, საქართველოს ორგანული კანონის "საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 22-ე მუხლის 16' პუნქტის შესაბამისად, დაფიქსირებულია სარეგისტრაციო ჟურნალში.

პატივისცემით,

გიზო მჭედლიძე  
კომისიის მდივანი



# (დანართი #3)



### Janrebi

- ჟურნალისტური მოვლევა
- სტატია
- რეპორტაჟი
- ანალიზი
- ფოტო რეპორტაჟი
- ექსპლუზივი
- ინტერვიუ
- უცხოური მედია საქართველოს შესახებ

### filmების არქივი



გაემიჯნა 196

### Temebi

- ზავშეგები
- ქალები
- მართლმსაჯულება
- ლტოლვილები / დევნილები
- უმცირესობები
- შვიდა
- ჯარი
- ჯანდაცვა
- კორუფცია
- არჩევნები
- სხვა



საჩივრო რეგიონი

საჭიროა თუ არა საკვლედილო სარეზერვო სამსახური საქართველოს თავდაცვისათვის?

### statiები

არქივი >>

## უცხოელი დამკვირვებლების შეფასება: „ფორმალურად არჩევნების დემოკრატიულად ჩატარების მიუხედავად, ახალქალაქში დემოკრატია ნამდვილად არ არსებობს“



(ახალქალაქი, 2010 წ. 31 მაისი) ნორვეგიის ჰელსინკის კომიტეტისა და 2 ივნ. '10 ავსტრიის ჰელსინკის ასოციაციის წარმომადგენლების ჯგუფი, რომლებიც დარეგისტრირდნენ როგორც ადგილობრივი დამკვირვებლები ადამიანის უფლებათა ცენტრიდან, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებს ავირდებოდა სამხრეთ საქართველოში ჯავახეთის რეგიონში 29-31 მაისს.

შაბათ-ვიკირას და არჩევნების შემდეგ ჯგუფი შეხვდა ადგილობრივ კანდიდატებს, პარტიებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს, საარჩევნო კომისიების წარმომადგენლებს და ამომრჩევლებს. არჩევნების დღეს, ჯგუფი ახალქალაქისა და ნინოწმინდის რაიონების 9 საარჩევნო უბანზე მივიდა; ერთ უბანზე ისინი დაესწრნენ გახსნას, ერთზე კი ხმების დათვლას. ადგილობრივი არჩევნების დროს ქართველმა ხალხმა აირჩია 63 საკრებულო და თბილისის მერი, რომელიც პირველად აირჩიეს პირდაპირი წესით. არჩევნების ადმინისტრირება ხდებოდა სამსახურბრანის სისტემით - ცენტრალური საარჩევნო კომისია, 73 საოლქო საარჩევნო კომისია და 3 619 საუბნო საარჩევნო კომისია.

არჩევნების შერეული სისტემით ჩატარდა. ამომრჩევლები იღებდნენ ორ საარჩევნო ბიულეტენს - ერთს პროპორციული არჩევნებისათვის, მეორეს კი მაჟორიტარი კანდიდატის ასარჩევად. ახალქალაქის საკრებულოში 10 ადგილი პროპორციული სისტემით წაწილდება (5%-იანი საარჩევნო ბარიერი) და 22 ადგილი განუთვნილია მაჟორიტარი კანდიდატებისათვის. ახალქალაქისა და ნინოწმინდის რაიონებში ძირითადი მოსახლეობას სომხები წარმოადგენენ; ასევე ცხოვრობენ ქართველები და რუსები (დუხობოლები).

### ზოგადი შთაბეჭდილება

ახალქალაქის რვა საარჩევნო უბანზე პარტიული სიით არჩევნების შედეგად, სადაც დამკვირვებლები დაესწრნენ ხმების დათვლის პროცესს, მმართველმა პარტიამ მიიღო ხმების 97 %. მიუხედავად იმისა, რომ არჩევნების დღეს არ არსებობს სერიოზული გაყვლების შტეციკებულელები, ეს შედეგი, რომელიც ძალიან გაეგა სხვა საარჩევნო უბნების შედეგებს, მიუთითებს, რომ ფორმალურად არჩევნების დემოკრატიულად ჩატარების მიუხედავად, ახალქალაქში დემოკრატია ნამდვილად არ არსებობს. ძირითადი დარღვევები არ იყო დავაგვირებული არჩევნების დღემდე ოპოზიციის კანდიდატებზე, წარმომადგენლებზე და დამკვირვებლებზე შეწოლასთან. უფრო მეტიც, მმართველი პარტიის საარჩევნო ბიულეტენის არსებობა საარჩევნო უბნებზე, და განსაკუთრებით არაუფლებამოსილი ადამიანების ყოფნა საარჩევნო უბნებზე, არაპირდაპირი შეწოლა ახდენდა ამომრჩევლებზე, ერთ შემთხვევაში, სოფელ ფთენაში, არაუფლებამოსილი ადამიანი დირექტივებს აძლევდა საუბნო კომისიის წევრებს და „ესმარებოდა“ ამომრჩევლებს საარჩევნო კაბინაში ხმის მიღებაში.

### დარღვევები

#### საარჩევნო კოდექსი

მაჟორიტარი კანდიდატების არჩევა განსაზღვრულია საარჩევნო კოდექსით და ტრადიციისა და გეოგრაფიის საფუძველზე, ასევე „ნაციონალური მოძრაობის“ ხელმძღვანელის დირექტივების მიხედვით. ახალციხეში ეს ნიშნავს, რომ საარჩევნო უბნებზე ამომრჩევლებს რაოდენობა მერყეობს 238-დან 667 ამომრჩევლამდე; ანუ აქ ერთი ხმა დიდ საარჩევნო ოლქის 30 ხმას უდრიადა. ორი ყველაზე პატარა ერთეული შედეგობადა სოფლების - ჩუნჩხასკან და პტენასკან, სადაც 250 ამომრჩეველი ირჩევს საკრებულოს ერთ წევრს. ორივე სოფელი ქართველებით არის დასახლებული, რის გამოც სომეხი ამომრჩევლები და თანამდებობის პირები ეთნიკური ნიშნით შეწოლაზე საუბრობენ მაჟორიტარი დეპუტატების არჩევნების დროს.

#### არჩევნების წინა პერიოდი

ახალციხეში ჩვენ მივიღეთ უამრავი საჩივარი ოპოზიციური პარტიებიდან, რომელიც ეხებოდა მათ კანდიდატებსა და კომისიის წევრებზე განხორციელებულ მუქარასა და შეწოლის ფაქტებს. განსაკუთრებით რამდენიმე ფაქტი წარმოადგინა კონსერვატიულმა პარტიამ, რომელიც ითვლება მთავარ ოპოზიციურ პარტიად, ჩვენ არ შეგვეძლო აღნიშნული ფაქტების გამოძიება, მაგრამ ეს ფაქტები შევისწავლეთ დეტალურად, რაც საკმაოდ საყურადღებო იყო.

ეროვნული საბჭოს რამდენიმე კანდიდატმა უარი განაცხადა არჩევნებში მონაწილეობაზე; საკარაულად მათზე და მათი ოჯახის წევრებზე განხორციელებდა მუქარა სამსახურის დაკარგვის ან სასწავლებლებში პრობლემების შექმნით, თუ არ დაემორჩილებოდნენ მოთხოვნას. კანდიდატმა, რომელმაც გუთხოვა მისი სახელი ანონიმურად შეგვეცნა და ასევე ოფიციალური სარჩევიც არ შეუტანია, გვიამბო, როგორ დაიბარეს უფროსის კაბინეტში და მოსთხოვეს უარი ეთქვა არჩევნებში მონაწილეობაზე, ვინაიდან უმომრჩევლის სამსახური ემუქრებოდა მას.

ერთ-ერთმა ყოფილმა კანდიდატმა, რომელმაც ასევე ითხოვა, არ გაეცემილა მისი ვინაობა, გვიამბო, როგორ დაავაგეს უმომრჩევლის სამსახურის თანამშრომლებმა ახალქალაქში მისი დასაწყისში, მათ წარუდგინეს საკუთარი თავი და სთხოვეს უარი განცხადებინა არჩევნებში მონაწილეობის მიღებაზე მუქარისა და შეწოლის ქვეშ. ის გამოეთიშა არჩევნებს. ეს ფაქტი რამდენიმე მოწმემ დაადასტურა. ჩვენ კითხვაზე - რატომ არ შეიტანა საჩივარი აღნიშნულ ფაქტზე ან პოლიციაში ან სასამართლოში, მან აგვიხსნა რომ ვინაიდან მთავრობის წარმომადგენლები ემუქრებოდნენ მას, აზრი არ ჰქონდა, საჩივარი შეეტანა იმავე ხელისუფლების ორგანოში.

ამჟამად, ამ ფაქტების შედეგად ძირითად ოპოზიციურ პარტიებს არჩევნებში აღარ ჰყავდათ არც კანდიდატები, არც დამკვირვებლები და არც კომისიის წევრები ახალქალაქის 22 საარჩევნო უბანზე კითხვაზე, რატომ იყვნენ მხოლოდ „ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატები და ასევე ავანტურისტულად გაწყობილი ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები სოფელ დილისკაში, მმართველი პარტიის წარმომადგენლებმა ზომირობითი კავიასხვა; ოპოზიციური პარტიის წევრებს თავისუფალი უშინაოთ.

საჭიროა 46.7%  
 არ არის საჭირო 53.3%

მიჭირს პასუხის გაცემა 0%

ხმების რაოდენობა: 15

შედეგები | არქივი

**რუბრიული კონსულტაცია**

შეკითხვის დასმა

პასუხები დასმულ შეკითხვებზე

აგვისტო, 2010						
«	<	დღეს	>	»		
		ორშ	სამ	ოთხ	ხუთ	პარ შაბ კვი
30						1
31	2	3	4	5	6	7 8
32	9	10	11	12	13	14 15
33	16	17	18	19	20	21 22
34	23	24	25	26	27	28 29
35	30	31				
აირჩიეთ თარიღი						

ფართო ძიება

**არჩევნების დღე**

**არაუფლებამოსილი ადამიანები საარჩევნო უბნებზე**

ყველაზე აღმამფთვებული დარღვევა, რაც ჩვენ აღმოვაჩინეთ უბნებზე, იყო არაუფლებამოსილი ადამიანების გამოჩენა, როგორც საარჩევნო უბნის შიგნით, ასევე გარეთ. ზოგიერთი ადამიანი, რომელიც ჩვენ ვნახეთ სოფლებსა და ქალაქში საარჩევნო უბნებზე, იყვნენ ის ადამიანები, რომლებსაც მანამდე „ნაციონალური მოძრაობის“ საარჩევნო შტაბში შევხვდით. მიუხედავად იმისა, რომ საერთო სიტუაცია ნორმალური იყო, ჩანდა - მმართველ გუნდს ჰყავდა ხილული წარმომადგენლობა საარჩევნო უბნებზე, რაც შეუვკიძლია ამომრჩევლებზე ზეწოლად შეგავსათ.

სოფელ პატენაში 54-ე საარჩევნო უბანზე ვარგად ჩაცმული მამაკაცი იმყოფებოდა შენობაში ჩვენი იქ ყოფნის დროს. კომისიის თავჯდომარეს როცა ვესაუბრებოდით, ის კაცი ვარწაზობდა, ჩვენთვის რა უნდა ეპასუხა. მოგვიანებით, ეს მამაკაცი ერთ-ერთ ამომრჩეველს კაბინაშიც შევხვ, როცა კომისიის წევრებს ამ კაცის ვინაობა ვვითხვით, მათ მიიხრეს - კომისიის წევრიაო, თუმცა, მას არ ჰქონდა პირადობის დამადასტურებელი მოწმობა და როცა ვითხვა პირადად მას დავუხსვით, მან უარყო რომ იყო კომისიის წევრი.

**პროცედურული დარღვევები**

მირითადად, საარჩევნო უბნებზე ატმოსფერო იყო მშვიდი და მოწესრიგებული, მაგრამ ბევრგან ჩანდა, რომ საარჩევნო კომისიის წევრებმა ვარგად არ იცოდნენ საარჩევნო პროცედურები, უბნების გახსნისა და დახურვის დროს, კანონით გათვალისწინებული პროცედურები არ ჩატარებულა, თუმცა, ეს არ ყოფილა მნიშვნელოვანი დარღვევები.

იყო შემთხვევები, როცა ოჯახის წევრები ერთად ამღებდნენ ხმას (პირველი და 54-ე საარჩევნო უბანი). მმართველი პარტიის სააგიტაციო მასალები იყო საარჩევნო უბნების შიგნით და გარეთ სამ უბანზე, 6-ე უბანზე, რომელზეც 375 ამომრჩეველი იყო დარეგისტრირებული და 278 გამოცხადდა, 5 ხელმოწერა არ იყო დაფიქსირებული.

**ოქმები**

„ერთდღიანი საბუქს“ წარმომადგენელი არმენ ფარმანიანი აცხადებდა, რომ ოქმებში ციფრები და მონაცემები იყო შეცვლილი შეჯამების დროს. ჩვენ ფოტო გადავღეთ ერთ ხელმოწერილ ოქმს, რომელშიც ციფრები აშკარად შეცვლილი იყო (ახალქალაქის საარჩევნო უბანი # 44). ახალქალაქის 48-ე საარჩევნო უბანზე ასევე გადავიღეთ ერთი ოქმი, რომელშიც ციფრები ერთმანეთს არ ემთხვეოდა და მიუთითებდა, რომ უბანზე მოსულ ამომრჩეველთა რაოდენობა იყო გაზრდილი და შედეგებიც შეცვლილი იყო.

**მასალის გამოყენებისას აუცილებელია პორტალის მითითება [www.humanrights.ge](http://www.humanrights.ge)**

„ლუან | მისწერეთ ამის შესახებ მეგობარს“

**ჩვენი დონორი/Our Donor:**      **სხვა რესურსები/Other Resources:**

